საქართველო

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

რესპუბლიკა

№111 (9791) 2024 წლის 27 სექტემბერი. პარასკევი

ფასი 1 ლარი

გლობალიზაციამ კავკასიური ცივილიზაცია არ უნდა „ჩაყლაპოს“

5-8

როინ მეტრეველი:

კავკასია — ცივილიზაციის უძველესი კერა

IV საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი

25 სექტემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიხსნა საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა.

კონგრესს მიესალმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** (მისი გამოსვლა იბეჭდება ჩვენი გაზეთის მეექვსე გვერდზე).

კონგრესს მიესალმა **მეუფე დანიელი,** რომელმაც ხაზგასმით გრძანა: ქართველი ხალხისთვის, მართლმადიდებელი ქართული ეკლესიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ წლევანდელი საერთაშორისო კონგრესი იმართება ქეთევან წამებულის 400 წლისთავისადმი მიძღვნილ დღეებში... შეგახსენებთ, რომ ხვალ, 26 სექტემბერს ალავერდის საკათედრო ტაძარში მოეწყობა ამ დაუვიწყარი ისტორიული თარიღისადმი მიძღვნილი წირვა და ქართული სულის უძლეველობის ზეიმი.

კონგრესის მნიშვნელობაზე მოკლედ ისაუბრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა **ჯაბა სამუშიამ.**

კონგრესს მიესალმა იაპონელი ქართველოლოგი **ჰიროტაკე მაედა.** მანვე წარმოადგინა შთამბეჭდავი ნაშრომი „ქართული სახელმწიფოებრიობა და იმპერიათა ეპოქა მარტყოფის ბრძოლის მეოთხასე წლისთავისათვის“.

სომეხმა ქართველოლოგმა **ჰარუთინ ხუდანიანმა** გულწრფელი მადლობა გადაუხადა მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას საერთაშორისო კონგრესზე მოწვევისთვის და დარბაზს წარუდგინა შესანიშნავი მოხსენება „დასავლეთი საქართველო ადრეული შუა საუკუნეების სომხურ წყაროებში (V-VII საუკუნეში)“.

ონლაინ (ვიდეო) ჩართვით კონგრესს მიესალმა რუმინელი ქართველოლოგი **ნიკოლაე დაურა** და ბუქარესტიდან წარმოგვიდგინა ფრიად საინტერესო მოხსენება – „მიხაი იშტვანიჩის ცნობები ანთიმოზ ივერიელის, კონსტანტინ ბრინკოვიანუსა და ვახტანგ VI-ის შესახებ და მათი წვლილი ქართული სტამბის შექმნაში“...

კონგრესის პირველსავე სხდომაზე უნდა შემდგარიყო აზერბაიჯანულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანის პრეზენტაცია, მაგრამ წიგნის შემქმნელი **ოქტაი ქაზუმოვი** და მთარგმნელი **იმირ მემედლი** ავადმყოფობის გამო კონგრესს ვერ დაესწრნენ.

კონგრესზე საგულისყურო ლიტერატურული ნამცვრევი წარმოადგინა აკადემიკოსმა **ელგუჯა ხინთიბიძემ** „იოვანე ათონელის ანდერძი – უძველესი წყარო შუასაუკუნეების ევროპული სასულიერო რომანის – ვარლაამ და იოსაფის“ შექმნის თაობაზე.

გუშინ, 26 სექტემბერს კონგრესი მუშაობდა და დღესაც, 27 სექტემბერს სხვადასხვა სექციებში იმუშავებს – **ენათმეცნიერება, ლიტერატურა, ისტორია და პოლიტოლოგია; არქეოლოგია, ეთნოლოგია და ხელოვნებათმცოდნეობა.**

სამი დღის განმავლობაში კონგრესი ასამდე მოხსენებას მოისმენს. ჩვენი გაზეთი შეეცდება, რჩეულთა შორის რჩეული მოხსენებები წლის ბოლომდე თანამიმდევრულად შესთავაზოს მკითხველს.

დღეს გაეცანით აკადემიკოს როინ მეტრეველის გამოსვლას.

რუსუდან ძოგულია

საქართველოს ხმა გაეროს ტრიბუნიდან

ირაკლი კობახიძე:

ჩვენ ვიბრუნებთ ჩვენი ერის სიამაყეს — სიამაყეს და ღირსებას, რომელიც 3000-წლიანი ისტორიის მქონე ქვეყანამ დაიმსახურა

2



4

თაღლითები, მოძალადეები და ავანტიურისტები

მკითხველის თხოვნით

სოხუმის დაცემის დღე



სადაც სიყვარულს კლავენ...

9

მეტრები

გასაჯაროვდეს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ნუსხა, რომლებიც საკუთარი ქვეყნისთვის უვიზო მიმოსვლის შეჩერებას ითხოვენ!



3

ირაკლი კობახიძე:

ჩვენ ვიბრუნებთ ჩვენი ერის სიამაყეს – სიამაყეს და ღირსებას, რომელიც 3000-წლიანი ისტორიის მქონე ქვეყანამ დაიმსახურა

პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის გამოსვლა გაეროს გენერალური ასამბლეის 79-ე სესიაზე

გატონო პრეზიდენტო,
გატონო გენერალურო მდივანო,
პატივცემულო კოლეგებო, გატონებო და ქალბატონებო,
ჩემი ქვეყნის ძვირფასო მეგობრებო,

ჩემთვის დიდი პატივია თქვენთან ერთად აქ ყოფნა და მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენელთა წინაშე სიტყვით გამოსვლა.

ჩვენი ხელისუფლების რწმენით, საქართველო ბუნებრივად იმსახურებს, იყოს მშვიდობიანი, სტაბილური და განვითარებული ქვეყანა. ამის გათვალისწინებით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩვენ უზრუნველვყავით საქართველოს განვითარება სწორედ ამ ტრაექტორიით. მივიღეთ რიგი რთული გადაწყვეტილებები და არასდროს შევუშინებივართ გამოწვევებს. ჩვენ არასდროს აგვირჩევია მარტივი გზა - ჩვენ ყოველთვის ვანიჭებთ პრიორიტეტს ჩვენს სახელმწიფოს და ხალხს. შედეგად, ჩვენ ვიბრუნებთ ჩვენი ერის სიამაყეს – სიამაყეს და ღირსებას, რომელიც 3 000-წლიანი ისტორიის მქონე ქვეყანამ დაიმსახურა.

ჩვენ შევიკრიბეთ უპრეცედენტო გლობალური გამოწვევების ეპოქაში, როცა გამძაფრებული კონფლიქტების, კლიმატური ცვლილებების და მზარდი ჰუმანიტარული საჭიროებების ურთიერთდაკავშირებული კრიზისები დღესაც კომპლექსურ პრობლემას წარმოადგენენ. ეს გამოწვევები ითხოვს გაბედულ მოქმედებას. საქართველო არასოდეს შეუშინებია გაბედულ მოქმედებას. ბოლო 2 წელი საკმაოდ რთული აღმოჩნდა ჩვენი რეგიონისთვის. მაშინ, როცა ჩვენ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ისეთ გლობალურ გამოწვევებზე, როგორიცაა განვითარება და პრობლემების გადაჭრა, უკრაინაში მიმდინარე ომმა წარმოშვა უპრეცედენტო მასშტაბის გაურკვევლობა და ჰუმანიტარული კრიზისი. მსურს, კიდევ ერთხელ აღვნიშნო ხაზგასმით: საქართველოს მხრიდან უკრაინის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში კვლავინდებურად მტკიცე და ურყევია.

ვაცნობიერებთ რა საკუთარი გამოცდილებიდან, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მშვიდობა, ჩვენ სათავეში ვუდგავართ ძალისხმევას, რომლის მიზანიცაა უშუალოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონის გარდაქმნა კონფლიქტების რეგიონიდან შესაძლებლობების რეგიონად. ჩვენ მივესალმებით მშვიდობიანი შეთანხმების პროცესს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, კერძოდ კი იმ ძალისხმევას, რომელიც მიმართულია მეზობელ ქვეყნებს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციისკენ. ჩვენ ყოველთვის ვიყავით მზად და დღესაც მზად ვართ, უზრუნველვყოთ რეგიონული თანამშრომლობის ფორმატი, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის თანამშრომლობას და ნდობის აღდგენას, ჩვენ შორის უთანხმოების წარსულში დატოვებას და ჩვენს ერთობლივ წინსვლას ყველა იმ რესურსისა და უპირატესობის გამოყენების თვალსაზრისით, რომელთა შეთავაზება ჩვენს რეგიონს შეუძლია მსოფლიოსთვის.

საქართველოს სტრატეგიული მდებარეობის წყალობით, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივ ხიდს ევროპასა და აზიას შორის, ჩვენი ქვეყანა უზრუნველყოფს უმოკლეს მარშრუტს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ზღვაზე გასასვლელის, ასევე ჩინეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ჩვენი მტკიცე ურთიერთობების გათვალისწინებით, საქართველო წარმოადგენს წამყვან მოთამაშეს რეგიონულ და ფართო ევრაზიულ კონტექსტში. ჩვენ ვართ არა მხოლოდ პროდუქციის გაცვლის, არამედ ელექტროენერგიის ტრანზიტის ცენტრი და გევრად მეტიც. ჩვენი საპორტო ინფრასტრუქტურის მეშვეობით საქართველო უზრუნველყოფს სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ზღვაზე გასასვლელის არმქონე 7 ქვეყნის კავშირს დანარჩენ მსოფლიოსთან ჩვენი ინფრასტრუქტურის მეშვეობით. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ამ ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის გზით, რომელიც მალე დაიწყება.

თუკი შევხედავთ პოლიტიკურ რუკას, დავრწმუნდებით, რომ საქართველო გვთავაზობს ყველაზე უსაფრთხო და სანდო სატრანზიტო მარშრუტს, რომლითაც უზრუნველყოფილია პროდუქციისა და მომსახურების დროული და ეფექტიანი ტრანსპორტირება. ჩვენი მიზანმიმართულება სანდო სატრანზიტო დერეფნის როლის შენარჩუნების და გაფართოების თვალსაზრისით გვაძლევს საშუალებას, მხარში დავუდგეთ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს ევროპაში ენერგოუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საჭიროებებზე რეაგირებაში. მიწოდების მარშრუტების დივერსიფიკაციის და გამძლე ინფრასტრუქტურაში ინვესტიციის გზით საქართველოს შეუძლია პროგნოზირებადობის ხარისხის ამაღლება აღმოსავლეთ-დასავლეთის დაკავშირებადობის მხრივ, განსაკუთრებით კი შუა დერეფნის ინიციატივის ფარგლებში.

როგორც ცნობილია, ბოლო 2 წელიწადში წარმოიშვა მნიშვნელოვანი გამოწვევები. არაერთი ტესტის მიუხედავად, საქართველომ აჩვენა განსაკუთრებული გამძლეობა ამ ტიპის გარე შოკების მიმართ. 2021 წლიდან მოყოლებული ჩვენი საშუალო წლიური ეკონომიკური ზრდა შეადგენს 9.7%-ს. მტკიცე მაკროეკონომიკური საფუძვლების და ფისკალური დისციპლინის წყალობით, სახელმწიფო ვალი შემცირდა 39.3%-მდე, ხოლო ფისკალური დეფიციტი – მხოლოდ 2.5%-მდე. გარდა ამისა, საქართველო ინარჩუნებს რეგიონში ინფლაციის ერთ-ერთ ყველაზე დაბალ მაჩვენებელს, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს მის ეკონომიკურ სტაბილურობაზე.

ბოლო 10 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური გაუმჯობესებისა და სიღარიბის მაჩვენებლების განახევრების მიუხედავად, სიღარიბისა და უთანასწორობის შემდგომი შემცირება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღის წესრიგის ცენტრშია. 2023 წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დასაქმების მაჩვენებლები, სამუშაო ძალის მონაწილეობის დონის ზრდის პარალელურად. ეს პოზიტიური ტენდენცია გაგრძელდა 2024 წლის პირველ ნახევარშიც, როცა უმუშევრობის დონემ იკლო რეკორდულ მაჩვენებლამდე და 13.7% შეადგინა.

საქართველოს ეფექტიანი წინსვლა და მიღწევები სათანადოდ არის ასახული მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული სააგენტოების საერთაშორისო რეიტინგებში:

- **მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველო მე-20 ადგილზეა მსოფლიოში და მე-11 ადგილზე ევროპაში კორუფციის კონტროლის თვალსაზრისით, ხოლო კანონის უზენაესობის კატეგორიაში საქართველო 29-ე ადგილზეა მსოფლიოში და მე-14 ადგილზე ევროპაში;**
- **საერთაშორისო საბიუჯეტო პარტნიორობის ღია ბიუჯეტის ინდექსის თანახმად, საქართველო ლიდერობს მსოფლიოს მასშტაბით ბიუჯეტის გამჭვირვალობის კატეგორიაში.**
- **ევროპის ანტიკორუფციული და სახელმწიფო აღმშენებლობის კვლევის ცენტრის (ERCAS) 2023 წლის ანგარიშის – „გამჭვირვალობა ომის დროს“ თანახმად, საქართველო მე-17 ადგილზეა და უსწრებს ევროკავშირის 15 წევრ ქვეყანას და დიდი შვიდეულის 4 სახელმწიფოს;**
- **გარდა ამისა, ფრეიზერის ინსტიტუტის მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში 25-ე ადგილზეა ეკონომიკური თავისუფლების თვალსაზრისით და აქაც უსწრებს ბევრ წამყვან ეკონომიკას;**
- **The Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის თანახმად, საქართველო მე-19 ადგილზეა ევროპაში და 32-ე მსოფლიოში და ისევ და ისევ უსწრებს ევროკავშირის ბევრ წევრ ქვეყანას;**
- **ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მარეგულირებელი შეზღუდვების ინდექსში საქართველო მე-8 ადგილზეა 80-მეტ ქვეყანას შორის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ღია ეკონომიკა მსოფლიოში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და მთლიანი შიდა პროდუქტის თანაფარდობა ერთ-ერთი ყველაზე მაღალია OECD-ის წევრ ქვეყნებს შორის.**

2023 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობამ შეადგინა 1.9 მილიარდი აშშ დოლარი, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის 6.2%. პანდემიის შემდგომი პერიოდიდან დღემდე საქართველომ მოიზიდა 6.2 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რითაც კიდევ უფრო შეეწყო ხელი საქართველოს ჩამოყალიბებას მულტიფუნქციურ რეგიონულ ცენტრად, სადაც თავმოყრილია ყველაფერი, რაც კი უკავშირდება ბიზნესს.

მაშინაც კი, როდესაც გასულ წელს ჩვენ ვუმასპინძლეთ 7 მილიონზე მეტ ტურისტს, რაც პოსტპანდემიურ პერიოდში მნიშვნელოვან აღდგენაზე მეტყველებს, საქართველო ინარჩუნებს დანაშაულის ერთ-ერთ ყველაზე დაბალ მაჩვენებელს მსოფლიოში. მონაცემთა ბაზა **Numbeo**-ს თანახმად, საქართველო ამ მხრივ მე-8 ადგილზეა ევროპაში და 21-ზე მსოფლიოში, რაც ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების და პროფესიონალების დამსახურებაა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ტერიტორიის 20% უკანონოდ ოკუპირებულია, ჩვენ ვაგრძელებთ წინსვლას, ზრდას და ვმუშაობთ, რათა უზრუნველვყოთ, რომ ჩვენმა შვილებმა იცხოვრონ უკეთეს, უფრო ძლიერ და უფრო ღირსეულ საქართველოში. ჩვენ თანმიმდევრულად და დაუღალავად ვშრომობთ, რათა საქართველოს ყველა მოქალაქე ამაყობდეს საკუთარი ქვეყნით.

მინდა, ვისარგებლო ამ შესაძლებლობით და მივმართო ჩვენს ხალხს საოკუპაციო ხაზის მეორე მხარეს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში. ჩვენი ყველა ნაბიჯი მიმართულია იმისკენ, რომ დავეხმაროთ ჩვენს ხალხს და ერთ დღეს ჩვენ, ჩვენს შვილებთან ერთად, შევძლოთ ერთად ცხოვრება ბედნიერ, გაერთიანებულ და განვითარებულ საქართველოში. საოკუპაციო ხაზის ამ მხარეს ჩვენ ყოველთვის გულღიად მიგიღებთ. ჩვენ უნდა აღვადგინოთ ყველა დანგრეული ხიდი ჩვენს ქვეყანაში.

ძვირფასო კოლეგებო და ჩემი ქვეყნის მეგობრებო,

ჩვენი საქართველო დგას თავისი უახლესი ისტორიის გზაგასაყარზე, ხოლო ჩვენ, როგორც ხალხის მთავრობა, მოწოდებულნი ვართ, ვმართოთ ჩვენი ქვეყანა ჩვენი ერის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, გავაკეთოთ ყველაფერი, რათა დავძლიოთ ჩვენ წინაშე მდგარი ყველა გამოწვევა და გავხდეთ უფრო ძლიერნი და წარმატებულნი, ვიდრე ოდესმე ვყოფილვართ. ჩვენ ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი და გვჯერა, რომ საქართველოს სურვილი, გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი, 2030 წლისთვის ასრულდება.

ვიყურებით რა მომავალში და, ამავე დროს, ჩვენს მოკავშირეებსა და პარტნიორებთან ერთად ერთგულად ვემსახურებით აყვავებული საზოგადოების შექმნის იდეას, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა მომავალშიც იქნება მიმართული მშვიდობის დასამყარებელი ზომების მხარდასაჭერად და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. ამ გზით კი ჩვენ ავამაღლებთ ადამიანის ღირსებას არა მხოლოდ საქართველოს ამჟამინდელი მოქალაქეებისთვის, არამედ ყველა მომავალი თაობის საკეთილდღეოდ.

მინდა, ვისარგებლო ამ შესაძლებლობით და მივმართო ჩვენს ხალხს საოკუპაციო ხაზის მეორე მხარეს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში. ჩვენი ყველა ნაბიჯი მიმართულია იმისკენ, რომ დავეხმაროთ ჩვენს ხალხს და ერთ დღეს ჩვენ, ჩვენს შვილებთან ერთად, შევძლოთ ერთად ცხოვრება ბედნიერ, გაერთიანებულ და განვითარებულ საქართველოში. საოკუპაციო ხაზის ამ მხარეს ჩვენ ყოველთვის გულღიად მიგიღებთ. ჩვენ უნდა აღვადგინოთ ყველა დანგრეული ხიდი ჩვენს ქვეყანაში.

25.XI.2024

ნიუ-იორკი.

კეისარს კეისრისა!

ამერიკელ პარტნიორებს სტუმარმასპინძლობა მაინც ესწავლათ ქართველი ხალხისგან

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა დააადასტურა „ამერიკის ხმის"გავრცელებული ინფორმაცია, რომ ბაიდენმა და მისმა ადმინისტრაციამ გააუქმა შეხვედრები საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და საქართველოს სხვა წარმომადგენლებთან.

– კი, როგორც ვიკითხე, მართლაც ასე მომხდარა. უკვე არასერიოზულია, საერთოდ რაზე უნდა ვისაუბროთ. თავისივე გაგზავნილი მოწვევა მეორე დღეს უკან გაიწვიეს. ასეთი ქცევა, საერთო ჯამში, არასერიოზულია. ადმინისტრაციის მხრიდან რაც ვიხილეთ, უპირველეს ყოვლისა, ეს არის ამერიკის და ამერიკელი ხალხის შეურაცხყოფა.

მეორე მხრივ, ხანდახან რაც უფრო მკვახე თუ აუხსნელია ასეთი ქმედებები, ან რაც უფრო მძიმეა გარკვეული ქმედებები, ეს პირდაპირ ინდიკატორია საქართველოში ოპოზიციის მდგომარეობის. ეს გვაჩვენებს, რომ იმდენად სავალალოა ოპოზიციის მდგომარეობა, ყველანაირ სტანდარტს ქვემოთ ქმედებებსაც კი აღარ ერიდება, მათ შორის აშშ-ის ადმინისტრაცია, რომ ოპოზიციას უგიძგოს და სალაპარაკო თემა მისცეს. სამწუხაროდ, ესეც ერთ-ერთი გამოვლინებაა ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ჩარევის. რაც შეეხება ზოგადად ამ საქციელს, ვერანაირად ვერ შევაფასებთ. ერთი რამის თქმა შეიძლება, ამდენი წელია, ამერიკის ადმინისტრაცია სტრატეგიულ პარტნიორს გვიწოდებს და სტუმარმასპინძლობა მაინც ესწავლათ ქართველი ხალხისგან, სულ მცირე, ეს შეეძლოთ, წაეღოთ ქართველი ხალხისგან. როგორც ჩანს, ეს სათანადოდ ვერ გავუზიარეთ!

საქართველოს შესახებ გადაწყვეტილებები მხოლოდ საქართველოში მიიღება!

ქვეყნის პრემიერის, რომლის 20% რუსეთს აქვს ოკუპირებული, სპეციალურად მიწვევა ამ მიწვევის გაუქმებისთვის, არ მგონია მთლად გონივრული ან თუნდაც შედეგიანი სვლა, – ამის შესახებ „ქართული ოცნების" აღმასრულებელი მდივანი მამუკა მდინარაძე სოციალურ ქსელში წერს.

მისი თქმით, ეს არის ხავსადაქცეული, ახალი მაშველი რგოლი წყალწაღებული ოპოზიციისთვის.

– იმ ქვეყნის პრემიერის, რომლის 20% რუსეთს აქვს ოკუპირებული, სპეციალურად მიწვევა და ამ მიწვევის გაუქმება, არ მგონია მთლად გონივრული ან თუნდაც შედეგიანი სვლა, სთხოვა ვინმემ? არა! უბრალოდ, არდაპატიჟების მიზნით დაპატიჟეს. ხავსადაქცეული, ახალი მაშველი რგოლი წყალწაღებული ოპოზიციისთვის! ზუსტად ამას ვამბობდით წინა დღეებში! გაგრძელებაც იქნება, თუმცა საქართველოს შესახებ გადაწყვეტილებები მხოლოდ საქართველოში მიიღება და სხვაგან აღარსად, ამას უნდა შეეგუოს ყველა! ბაიდენი, რა თქმა უნდა, დეტალურად იქნება საქმის კურსში ამ ფაქტის შესახებ", – დაწერა მამუკა მდინარაძემ.

როგორც ცნობილია, „აშშ-ის პრეზიდენტის მიღებაზე მიწვეულთა სიაში თავდაპირველად იყო ირაკლი კობახიძე, თუმცა ბაიდენის ადმინისტრაციამ მიწვევა გააუქმა. ადმინისტრაციამ ასევე უარი თქვა საქართველოს დელეგაციასთან ყველა შეხვედრაზე".

2024 წელს რეგიონში ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გვექნება

აზიის განვითარების ბანკმა სექტემბრის ეკონომიკური მიმოხილვა გამოაქვეყნა – განახლებული პროგნოზის თანახმად, საქართველოს ეკონომიკური ზრდა 2024 წელს 7% იქნება, როცა წინა – აპრილის პროგნოზი 5%-ს შეადგენდა. აზიის განვითარების ბანკის შეფასებით, საქართველოს ეკონომიკის მდგრადი ზრდა 2025 წელსაც შენარჩუნდება და 5.5%-ს გაუტოლდება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე **ვახტანგ ცინცაძე** აზიის განვითარების ბანკის მიმოხილვის ორ ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას – საქართველოს რეგიონის ქვეყნებთან შედარებით 2024 წელს ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ექნება და მეორე – წინა პროგნოზთან შედარებით, საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი რეგიონის ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე მეტადაა გაზრდილი.

„აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმოხილვის თანახმად, საქართველოში ინფლაციის პროგნოზი შემცირების მიმართულებით გადაიხედა და საშუალოდ 2.5%-ს შეადგენს. ასევე აზიის განვითარების ბანკი ყურადღებას ამახვილებს სწრაფი ეკონომიკური ზრდის შედეგად შემცირებულ უმუშევრობაზე – 2024 წლის მეორე კვარტლის მაჩვენებლებით ის ისტორიულ მინიმუმამდეა შემცირებული და 13.7%-ს შეადგენს", – აცხადებს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე.

აღსანიშნავია, რომ აზიის განვითარების ბანკის ანგარიშის თანახმად, 2024 წელს საქართველოს ექნება ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა არა მხოლოდ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის, არამედ აღმოსავლეთ აზიის, სამხრეთ აზიის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს შორისაც. ამასთან, ვახტანგ ცინცაძე მთავრობის ეკონომიკური გუნდის პოზიტიურ მოლოდინებზე საუბრობს – რომ საქართველოში სწრაფი ეკონომიკური ზრდის ტენდენცია მომავალ თვეებშიც გაგრძელდება და იმაზე მაღალი იქნება, ვიდრე ამას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები პროგნოზირებენ.

მეჩრები

გასაჯარავდეს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ნუსხა, რომლებიც საკუთარი ქვეყნისთვის უვიზო მიმოსვლის შეჩერებას ითხოვენ!

მართალია, ხელისუფლებისგან გვესმის, რომ ვიზალიბერალიზაციის შეჩერება ბიუროკრატიულად რთული პროცესია, მაგრამ ქართველი ენჯეოების მოთხოვნის საფუძველზე ეს შანტაჟი შეიძლება რეალობად იქცეს.

პარალელურად, ქართველი ანალიტიკოსები მოითხოვენ, გასაჯაროვდეს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ნუსხა, რომლებიც საკუთარი ქვეყნისთვის უვიზო მიმოსვლის შეჩერებას ითხოვენ, რის შესახებაც მაკკეინის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშშია ნათქვამი.

კახა კალაძე ეჭვობს, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად ვიზალიბერალიზაციის გაუქმებაზე საუბარი კიდევ უფრო გააქტიურდება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში უვიზო მიმოსვლა შეუჩერეს ალბანეთს და ვანუატუს. ასევე, გამარტივებული სავიზო რეჟიმი შეუჩერეს რუსეთს და ბელარუსს.

ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი მიიჩნევს, რომ ვიზალიბერალიზაციის შეჩერება არა მარტო რთული, არამედ შეუძლებელი პროცესია. ამას სჭირდება 27-ვე ქვეყნის სრული კონსენსუსი. ვიზალიბერალიზაციის შეჩერებას საქართველოსთან მიმართებით, სულ ცოტა, 3-4 ქვეყანა მაინც კატეგორიულად შეეწინააღმდეგება. უნგრეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუშვებენ, არა მხოლოდ საქართველოს მიმართ სოლიდარობის გამო, არამედ პირდაპირი ინტერესი აქვთ, რომ ეს არ მოხდეს, რადგან საქართველო არის დასავლეთ-აღმოსავლეთის კარიბჭე. აქედან გამომდინარე, ამ ქვეყნებს არ აწყობთ, საქართველო დაიბლოკოს და ეს კარიბჭე ჩაიკეტოს. ასეთი რამ რომ მოხდეს, ეს უპრეცედენტო იქნება.

ანალიტიკოსი მომხრეა, იმ არასამთავრობოების ნუსხა გასაჯაროვდეს, ვინც საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის შეჩერებას მოითხოვს. ამით გვეცოდინება საქართველოს მტრები, გვეცოდინება მათი სახელები, გვარები, მისამართები. მისი თქმით, რასაც ესენი აკეთებენ, ეს საქართველოს მტრობაა, თუმცა ისედაც ვხვდებით, ვინც არიან ეს არასამთავრობოები. ეს ის ხალხია, ვინც ტექნიკურ მთავრობას ითხოვდა და ვინც ენჯეოების ამბოხების სათავეშია საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ანალიტიკოსი გია აბაშიძე ვიზალიბერალიზაციის შესაძლო შეჩერებასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ ყველაფერი მოსალოდნელია, როდესაც დასავლელი პოლიტიკოსები საქართველოსთან ურთიერთობის გამწვავების ვა-ბანკზე მიდიან, მაგრამ უნდა ვიქონიოთ საღი აზროვნების იმედი, რომ როგორც ევროპარლამენტში, ასევე, ამერიკაში ეს არ მოხდება. მართალია, ამერიკას არა აქვს საქართველოსთან უვიზო მიმოსვლა, რასაც რამდენი წელია, ველოდებით, არც თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გაფორმებულა, არც – პირდაპირი ავიარეისები ამერიკასთან.

„ევროკრატებისგან მორიგი მუქარა და შანტაჟი მოსალოდნელია, ალბათ, პროცესები იმავე სცენარით წავა, რომ უნდა დაასანქცირონ ხელისუფლების წარმომადგენლები და მათი ოჯახის წევრები, მათ შორის, შსს-ს მაღალჩინოსნები, რაც შეურაცხმყოფელია ჩვენი პოლიციელებისთვის, რომლებიც წესრიგს იცავენ, გამოხატვის თავისუფლებას უზრუნველყოფენ და ნებისმიერ ექსტრემისტულ გამოხტომას აღკვეთენ. ეს იგივეა, ევროპამ დაასანქციროს ის ამერიკელი პოლიციელები, რომლებიც რამდენიმე წლის წინ იცავდნენ კაპიტოლიუმს იქ შეჭრისგან. ასეთ აბსურდში გვიწევს ცხოვრება", – აცხადებს გია აბაშიძე **for.ge**-სთან საუბრისას.

ანალიტიკოსი აკონკრეტებს, რომ ასეთივე უსინდისობა იყო ევროკავშირის მხრიდან ქართული ჯარისთვის 30 მილიონის გაყინვა და გადამისამართება აბსოლუტურად არარეიტინგულ ნაცენჯეოებში, ასევე, გაუგებრობა და უზნეობა იყო ამერიკისგან გარკვეული სანქციები, იქნებოდა ეს ლუგარის ლაბორატორიაში ნაწილობრივ თანხების გადმოგზავნის შეწყვეტა, საკონსტიტუციო სასამართლოს ზაფხულის სკოლის ვითომ დასანქცირება.

„ვის ასანქცირებენ – სტუდენტებს? ასანქცირებენ ქართული სახელმწიფოს სხვადასხვა ინსტიტუტებს. მე მგონი, ადრე თუ გვიან თვითონაც უნდა მიხვდნენ, რომ არანაირი შედეგი ამას არ ექნება. თუმცა უკვე შედეგებია იქიდან გამომდინარე, რომ დაწერილია ავაზაკური სცენარი, თითქოს საარჩევნო პერიოდს თან ახლავს ძალადობა, არაკეთილსინდისიერი ქმედება ხელისუფლების მხრიდან, ანუ სტანდარტული ბრალდებები, რომლებიც არ მოქმედებს. მორიგ ჯერზე ჩატარდება დემოკრატიული არჩევნები, ამჯერად სიახლით, ვგულისხმობ ელექტრონულ მოწყობილობებს და 20 საათის შემდეგ გამოჩნდება, ვინ იმარჯვებს ქართველ საზოგადოებაში. ნებისმიერი შეთითხნილი ეგზიტპოლი, რომელიც ნაცტელევიზიიდან წამოვა, აბსოლუტურად არაფრის მაქნისი არ იქნება. უბრალოდ, ჯერ იზეიმებენ რაღაცას, შემდეგ პროტესტებს დაიწყებენ 27-დან, მაგრამ რა მინიმალურ მანდატებსაც მიიღებენ, ადრე თუ გვიან, მაინც მოუწევთ პარლამენტში შესვლა", – აღნიშნა გია აბაშიძემ.

მანვე განმარტა, რომ არ დაიმალება იმ არასამთავრობოების სია, ვინც საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის შეჩერებას მოითხოვს, ვინაიდან თვითონ ევროპელი აქტორები ამას ეუბნებიან საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს. ცხადია, მოღალატეების და კოლექტიური სერგო ორჯონიკიძეების ვინაობა უნდა იცოდეს ქართველმა ხალხმა.

„ჩვენ ხომ ვიცით, რომ უნინდელი ნაცდეპუტატები ჩადიოდნენ უცხოეთში და ითხოვდნენ, არ მისცეთ საქართველოს ვიზალიბერალიზაცია, არ მისცეთ თავისუფალი ვაჭრობა და ასე შემდეგ. ყველა მათგანის სახელები ვიცით ისევე, როგორც ვიცით მოღალატეობრივი, 2008 წლის ევროპის საბჭოს რეზოლუციაზე ხელმომწერი ნაცდეპუტატების ვინაობა. ასე რომ, გამჭვირვალობა და სიმართლე უნდა მიეწოდოს ქართველ საზოგადოებას, თუ ვინ ემტერება ჩვენს სახელმწიფოებრიობას", – გვითხრა გია აბაშიძემ.

მანანა ნოზაძე

ზურაბ ადეიშვილი გაეროში სხდომებს ესწრება

ადეიშვილი უკრაინის პრეზიდენტის დელეგაციაშია. საქართველოში ამბობენ, რომ ძეგნილი ადეიშვილის თავისუფლად გადაადგილება დემოკრატიისა და ქართველი ხალხის შეურაცხყოფაა.

თალლითები, მოძალადეები და ავანტიურისტები — ტექნიკური მთავრობის მონახაზი მზადაა

მედი სამართლით „ტექნიკური მთავრობის“ ცნება საზრისს მთლიანად მოკლებულია, ხოლო პოლიტიკური განზრახულობის თვალსაზრისით, ეს არის არც მეტი, არც ნაკლები

სალომე ზურაბიშვილმა 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნება“ „დაამარცხა“ და ახლა უკვე ტექნიკური მთავრობის ფორმირების პროცედურებს იწყებს. ორგელიანების სასახლეში გამართული გოლო ბრიფინგი ცხადყოფს, რომ საქართველოს პრეზიდენტი სახელმწიფო გადატრიალების თანამონაწილეა.

„ეს არის სამოქმედო გეგმა, ტექნიკური მთავრობა, პროფესიონალების მთავრობა უნდა შეიქმნას პოლიტიკურ პარტიებთან კონსულტაციებით, მაგრამ არა მათ მიერ დანიშნული პოლიტიკოსებისგან. ამ დღეებშიც და წინა პერიოდშიც ყველაფერმა გვაჩვენა, რომ თუ ეს არა, მერე იქნება „ჩემი პრემიერი, შენი პრემიერი“, „ჩემი მინისტრი“, „ჩემი წონა უფრო დიდია, შენი წონა ნაკლები“. დემოკრატიაში ჩვენზე ბევრად გამოცდილი ქვეყანაა საფრანგეთი, სადაც ზუსტად ეს შეცდომაა ახლა დაშვებული, რომ ცდილობენ პოლიტიკურ-კოალიციური მთავრობა შექმნან, სადაც ძალიან –დაპირისპირებული და პოლარიზებული ძალებია“, – აცხადებს პრეზიდენტი და თვლის, რომ ეს არის კრიზისის დაძლევის ერთადერთი საშუალება და ეს არის მოდელი, რომელიც ასევე არსებობს ევროპაში. შესაბამისად, იგი სთავაზობს პარტიებს, რომ ქარტიის ირგვლივ გაერთიანებული სხვადასხვა მოსაზრებების პარტიები, საზოგადოება, რომელიც მთლიანად კონსოლიდირებულია დამოუკიდებლობის დაცვაში, ქვეყნის გადარჩენაში, ყველანი ერთად დადგნენ და ემსახურონ საქართველოს.

„იტალიამ და საბერძნეთმა გვაჩვენა, რომ კრიზისის დროს და მოკლე ვადით საჭიროა, რომ მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც არიან პროფესიონალები, ყველას მიერ აღიარებულები. ეს თავისთავად დეპოლარიზაციაა იმიტომ, რომ ასეთი ადამიანები არ იყვნენ ჩართული პოლიტიკურ ჭიდაობაში, ბრძოლებში, არა აქვთ პოლიტიკური წარსული და არ უნდათ პოლიტიკური მომავალი. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან, რომ ემსახურონ ქვეყანას მოკლე ვადით, ერთი წლით“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ ლიდერის მამუკა ხაზარაძის განცხადებით, ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ამოცანაა არჩევნების მოგება.

„მინდა, კიდევ ერთხელ დავადასტურო ჩემი პატივისცემა პრეზიდენტის მიმართ. იცით, რომ ჩვენ ქარტიას შევუერთდით, როგორც კი იგი ცნობილი გახდა საზოგადოებისთვის. ქარტიაში მთავარი არის ის, რომ მთელმა პოლიტიკურმა სპექტრმა მოახდინოს ამომრჩევლებთან ერთად რუსული ოცნების ხელისუფლებიდან გასტუმრება. ეს არის ნომერ პირველი ამოცანა. შესაბამისად, პარლამენტიდან სასწრაფოდ გამოწვევა ყველა იმ კანონის, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ევროპულ ინსპირაციას. რაც შეეხება ტექნიკურ მთავრობას, ამ ქვეყანას რაც აკლია, არის პროფესიონალები. სამწუხაროა, რომ ადამიანები, რომლებსაც არანაირი გამოცდილება არა აქვთ, მართავენ არათუ სფეროებს, თვალი რომ გადაავლოთ „ქართული ოცნების“ მინისტრებს, მიხვდებით, რომ სრული ქაოსია. ელემენტარული განათლება არა აქვთ, როგორ უნდა მართონ, მაგალითად, ჯანდაცვის სფერო, ეკონომიკა ან სოფლის მეურნეობა. ამიტომაც ვართ ამ დღეში. მთავრობის კომპლექტაცია პრეზიდენტთან ძალიან მჭიდრო კონსულტაციით მოხდება“, – განაცხადა **მამუკა ხაზარაძემ.**

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის **პეტრე ცისკარიშვილის** განცხადებით, ჯერ საკადრო საკითხების განხილვის დრო არ არის. ახლა აუცილებელია, რომ ოპოზიციამ გაიმარჯვოს არჩევნებზე და შეთანხმდეს კოალიციის ფორმირებაზე.

„სანამ მთავრობის დაკომპლექტებამდე მივალთ, მანამდე აუცილებელია, რომ ოპოზიციამ გაიმარჯვოს საპარლამენტო არჩევნებზე და შეთანხმდეს კოალიციის ფორმირებაზე. ეს არის ნომერ პირველი ამოცანა და მე ვიტყოდი, რომ ჯერ გადავხტეთ და ჰოპ - მერე დავიძახოთ. საკადრო საკითხების განხილვის დრო არ არის, ტექნიკური მთავრობა იქნება ეს, პროფესიონალური თუ ნაწილობრივ პოლიტიკოსებით დაკომპლექტებული, რადგან ახლა, უნდა ვფიქრობდეთ მხოლოდ ერთ რამეზე, რომ არ დავუშვათ „ოცნების“ გამარჯვება.

ერთი თვეა ზუსტად დარჩენილი, ამაში სჭირდება ოპოზიციას ერთიანი ფრონტი, კოორდინირებული მუშაობა, ამაში სჭირდება ოპოზიციას მათ შორის პრეზიდენტის მხრიდანაც დახმარება, ხოლო როდესაც გავიმარჯვებთ, მთავრობის საკადრო საკითხებზე საუბარი გაცილებით მარტივი იქნება, ვიდრე დღეს არის“, – განაცხადა პეტრე ცისკარიშვილმა.

ანალიტიკოს **დავით ზარდიაშვილის** განცხადებით, კონსტიტუციითა და მოქ– ძალაუფლების უზურპაციის ნება სუვერენული ხალხის ნების საპირისპიროდ. როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, მოქმედი კონსტიტუციით, საქართველო საპარლამეტო წესწყობილების ქვეყანაა, სადაც მთავარი პოლიტიკური ორგანო გახლავთ ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეული პარლამენტი, რომელიც ქმნის ანგარიშვალდებულ, მაგრამ საკუთარი პასუხისმგებლობით დამოუკიდებლად მოქმედ აღმასრულებელ ხელისუფლებას – საქართველოს მთავრობას.

„თუკი, წინასწარ და მსგავსი იმპერატიული ტონით გამოცხადდება, რომ პარლამენტის ნების „ზემოთ“ და ხალხის ნების მიღმა, არსებობს ისეთი „უზენაესი ნებაც“, რომელიც მთავარ პოლიტიკურ ორგანოს უზღუდავს უფლებამოსილების კონსტიტუციურ ვადას, ხოლო მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებად წინასწარ ადგენს წინა პარლამენტის მიერ მიღებული კანონების გაუქმებას, ხოლო მთავრობას ოდენ რიგგარეშე არჩევნების მომზადების „ტექნიკურ“ ფუნქციას ანიჭებს, ცლის რა მას ყოველგვარი თავისუფალი პოლიტიკური ნებისა და საკუთარი პასუხისმგებლობისგან, ეს – სხვა არც არაფერია, თუ არა ანტიკონსტიტუციური შეთქმულება ძალაუფლების უზურპაციის მიზნით“, – აცხადებს ზარდიაშვილი.

ანალიტიკოსი შეფასებით, გამაოგნებელია, რომ ასეთი მოწოდებით გამოდის სახელმწიფოს მეთაური, რომელიც კონსტიტუციურობის მაგალითი და გარანტი უნდა იყოს და იგი დიამეტრალურად საპირისპიროს სჩადის.

„ყოვლად უტიფრად საკუთარ თავს უზურპატორად გვთავაზობს და ოპოზიციურ პარტიებს ამ შეთქმულებაში უშუალოდ რთავს, ხელს აწერინებს რა ე.წ. ქარტიაზე, რაც სახელმწიფო ღალატის მორიგ ოფიციალურ დოკუმენტად უნდა მივიჩნიოთ. ცხადია, ეს იმას ნიშნავს, რომ სწორედ მისი ნებაა უზენაესი და არა ხალხისა და მისი მთავარი წარმომადგენლობითი ორგანოსი – მომავალი პარლამენტისა, აღარაფერს ვამბობ ამგვარი პოლიტიკური განზრახულობით აპრიორულად, ამთავითვე, უკიდურესად დამცირებულ და შეურაცხყოფილ მომავალ ე.წ. ტექნიკურ მთავრობაზე.

ბუნებრივია, ყველამ ვიცით, რომ ეს ე.წ. პრეზიდენტი მხოლოდ ცრუმაგიერი პირია, ხოლო რეალურად უზურპატორი სწორედაც „გლობალური ომის პარტიაა“. როგორც ჩანს, გლობალური ომის პარტია ისევე, როგორც თავისი მექანიკური ტიკინა დააყენა აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატად, აქ სალომეს აყენებს იმავე ყაიდის მექანიკურ ინსტრუმენტად იგივე შინაარსის უზურპაციისა, რაც მთელი პლანეტის მასშტაბით სურს“, – აღნიშნა for. ge-სთან საუბრისას დავით ზარდიაშვილმა.

თამთა ძარჩავა

ძარცვა-ღლეტა პარკირების ხარჯზე!!!

ჯარიმებისა და ბიზნესის უკმაყოფილება ერთნაირად მზარდია!

თბილისში პარკირებაზე 8 თვეში გამოწერილმა ჯარიმებმა 11.8 მლნ ლარს გადააჭარბა. როგორც ჩანს, წელს დამატებით 10%-ით გაიზრდება ჯარიმების მოცულობა. ასეთი სტატისტიკიდან ის ჩანს, რომ დაჯარიმებამ ინტენსიური ხასიათი მიიღო, რაც უკვე მოსახლეობის გარდა, ბიზნესსაც უქმნის პრობლემას. ამ მხრივ უკმაყოფილება მუდმივად მზარდია.

უფრო კონკრეტულად, საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების (კონსოლიდაციის გარეშე), მიხედვით, 2024 წლის იანვარ-აგვისტოში დედაქალაქში პარკირების წესების დარღვევისთვის გამოწერილი ჯარიმებით ბიუჯეტში 11 836 042 ლარი შევიდა, 2023 წლის ანალოგიურ პერიოდში - 11 288 954 ლარი.

ამასთან, გაზრდილია ზოგადად საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ბიუჯეტში შესული თანხის მოცულობაც. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, წელს იანვარ-აგვისტოში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ბიუჯეტში 151.273 მლნ ლარი შევიდა, წინა წლის 7 თვეში - 140.370 მლნ ლარი.

ცნობისთვის, 2022 წლის შემოდგომიდან პარკირების წესების დარღვევაზე ჯარიმები გაიზარდა, ნაცვლად 10 ლარისა, 50 ლარი გახდა.

ორგანიზაციის კვლევის მიხედვით, 2018 წელს დედაქალაქში 32 257 საპარკინგე ადგილი იყო, 2023 წლის მონაცემებით კი მაჩვენებელი 26 994-მდე შემცირდა.

„მერიის აქცენტი ზონალურ – საათობრივ და სტანდარტულ პარკირებაზე გადავიდა - „სითი პარკის“ გასვლის შემდეგ, 2018-2023 წლებში თბილისში საპარკინგე ადგილების რაოდენობა შემცირდა 5263 ერთეულით - 16% ით, ხოლო 2018–2023 წლებში პარკირების ჯარიმების რაოდენობა 7.3-ჯერ გაიზარდა;

მხოლოდ ერთ წელიწადში – 2023 წელს 2022 წელთან შედარებით – 260%-ით გაიზარდა პარკირების ჯარიმები.

მოსახლეობის გარდა, პარკირების არანორმალურად გაზრდილ ჯარიმებზე გამუდმებით ჩივის ბიზნესიც. იმის გამო, რომ ქალაქში სადისტრიბუციო მანქანებისთვის გამოყოფილი ძალიან ცოტა ადგილია, უმეტესად მათ ტროტუარებზე ან ავტოგზესის ზოლში გაჩერება უწევთ. საპარკინგე ადგილების არარსებობის პირობებში ქვეყნის ორ ყველაზე მსხვილ პურის მწარმოებელ კომპანიას თვეში 20 ათას ლარზე მეტი ჯარიმა დაუგროვდა. როგორც პურის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი ამბობს, ბიზნესი იძულებულია, გაზრდილი ხარჯები პურის ფასში ასახონ.

„ეს არ არის წვრილმანი პრობლემა. მესმის, რომ ქალაქში უნდა მოწესრიგდეს დისტრიბუცია – მიწოდება, ქალაქი გადაიტვირთა, მაგრამ ამ საკითხის მოგვარება სადისტრიბუციო მანქანებზე ჯარიმების წერით ვერ მოგვარდება. „იფქლი დიღომს“ დაახლოებით 23 ათასი ლარის ჯარიმა აქვს ერთ თვეში გამოწერილი, ეს ხომ პროდუქციის თვითღირებულებას დააწვება. ასევე „იფქლი გლდანი“, ისიც დიდი წარმოებაა, იქ კიდევ უფრო მეტია, 25 ათას ლარს ასცდა ჯარიმების რაოდენობა.

ამან გამოიწვია დიდი უსიამოვნება. სამჯერ დააჯარიმო დისტრიბუცია იმის გამო, რომ პური მიიტანა და კეთილი საქმე გააკეთა, უბრალოდ, ამაზე უნდა იფიქროს ვიღაცამ“, – განაცხადა მალხაზ დოლიძემ.

პრობლემას ადასტურებს „იფქლი დიღომის“ გენერალური დირექტორიც. ნისან იოსებაშვილის თქმით, ბიზნესი იძულებულია, ხარჯები პურის ფასში გაითვალისწინოს.

ბექა დანელია

გლობალიზაციამ კავკასიური ცივილიზაცია არ უნდა „ჩაყლაპოს“

როინ მეფრეველი:

კავკასია — ცივილიზაციის უძველესი კერა

კავკასია ყველა დროში იქცევდა ყურადღებას უნიკალური გეოპოლიტიკური, გეოკულტურული და ეკონომიკური მდგომარეობით. იგი, როგორც კაცობრიობის ცივილიზაციის უძველესი კერა და გუნებრივი ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, ყოველთვის ასრულებდა უდიდეს როლს ხალხთა დაახლოებასა და ურთიერთგაგებაში.

XXI საუკუნის დასაწყისში, მსოფლიოში ახალი ტექნოლოგიური რეალიების პირობებში, მეტად აქტუალური ხდება კავკასიის რეგიონის როლი დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაახლოების პროცესში. ეს პროცესი მიზანმიმართულად დაიწყო უძველესი დროიდან, ჯერ კიდევ დიდი აბრეშუმის გზის ეპოქიდან. აღნიშნული მიმართულებით კვლევას ამჟამად, სამწუხაროდ, ართულებს წარმოქმნილი შეუსაბამობა კაცობრიობის განვითარების დისპერსიულ ეტაპზე დაფუძნებულ იმპერიულ კულტურათა და ბოლო, XXI საუკუნის ხარისხობრივად ახალ მდგომარეობას შორის.

სავსებით სამართლიანად თვლიან მეცნიერები, რომ ვითარების განმლოკებისთვის საჭიროა ძალისხმევათა არნახული, მჭიდრო კოოპერაცია, რათა შეიქმნას სახელმწიფოთა და ხალხთა ურთიერთობის მომცველი პრინციპულად ახალი ფასეულ-ნორმატიული ცივილიზაციის გაზისი. ამ პროცესში კავკასიის ხალხთა ჩართვას მრავალმხრივ განსაზღვრავს რეგიონში დემოკრატიული გარდაქმნებით სვლა კულტურათა დიალოგისთვის, პირობების შექმნა სოციალურ-კულტურული იდენტურობის შენარჩუნებისთვის. ისტორიული გამოცდილება გვკარნახობს, რომ აუცილებელია ნაციონალურ-საზოგადოებრივი აზრისა და სამეცნიერო-ინტელექტუალური ტრადიციების ფორმირება, რაც მიგვიყვანს ღია, თვითმმართველი საზოგადოებების შექმნის აუცილებლობასთან. ამ მიმართულებით წინსვლაც ნელი ტემპით მიმდინარეობს. განგაშს იწვევს აგრესიული სეპარატიზმი და კონფლიქტები, რაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას.

ერთი სიტყვით, **პოსტკომუნისტურმა დემოკრატიულმა გარდაქმნებმა „ჩვენი თავი გვერდიდან დაგვანახვა“. ცარიზმისა და ტოტალიტარიზმის ორსაუკუნოვანი გავლენის ქვეშ მყოფი კავკასიელი ხალხის კულტურულ-ისტორიულ სინამდვილეს „ტყვეობის“ კვალი, უდავოდ, დაეტყო, ხოლო როგორც კი მოეხსნა მას იმპერიის დამთრგუნველი წნეხი, წარმოუდგენლად სწრაფად დაიშალა „ხალხთა დიადი ძმობა“ და მის ნაცვლად წარმოიშვა კონფლიქტის რამდენიმე კერა. ნაყოფიერი მიწების დეფიციტმა და შრომისუნარიანი მოსახლეობის სიჭარბემ, ისტორიულმა წყენამ, ურთიერთტერიტორიულმა პრეტენზიებმა და დეპორტაციის შედეგებმა კავკასიაში პერმანენტული არასტაბილურობა წარმოშვა.**

* * *

კავკასია ყოველთვის იყო მსოფლიოს ხალხთა თვალსაწიერში, მაგრამ უკანასკნელმა ათწლეულებმა ეს რეგიონი მსოფლიოს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოაქცია. ამის მიზეზი ის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მოვლენებია, რომლებიც, პოლიტიკური თვალსაზრისით კავკასიის თითქმის ყველა კუთხეში დატრიალდა. ნებსით თუ უნებლიეთ, ამ მოვლენებმა, სხვა ფაქტორებთან ერთად, კავკასია ე. წ. „ცხელ წერტილად“ ან „ცხელ ლაქად“ აქცია და საერთაშორისო საზოგადოების ინტერესთა არეალში მოაქცია.

ევრაზიის კონტინენტის ცივილიზაციური სტრუქტურა რეგიონთა შორის ურთიერთობათა განსაკუთრებული სირთულითა და სპეციფიკურობით გამოირჩევა. ამ კონტინენტის ისტორიულ განვითარებას თან ახლდა გლობალური გარდაქმნები, ტრანსფორმაციები, რომლებიც ორგანულად იყვნენ დაკავშირებულნი მსოფლიო იმპერიების შექმნასა და დაცემასთან, მასობრივ მიგრაციებთან, ცივილიზაციისა და მარბაროსობის ურთიერთბრძოლასთან, ცივილიზაციური ცენტრების ურთიერთობაში ცვლილებებთან და სხვა მრავალ ფაქტორთან. განსაკუთრებული ადგილი კავკასიურ ცივილიზაციას უკავია. კავკასიას განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. იგი ნაწილია როგორც აზიის, ისე ევროპისა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა რეგიონის პოლიეთნიკურობა და პოლიკონფესიურობა.

კავკასია საინტერესოა იმითაც, რომ აქ ერების, ეროვნებათა და ენათა დიდი მრავალფეროვნებაა; თავმოყრილია ენათა რამდენიმე ოჯახი, ძველიდან შექმნილია მაღალი დონის სამწერლობო შედევრები.

კავკასიაში ცხოვრობს 50-ზე მეტი ეროვნების ხალხი, რომლებიც ლაპარაკობენ იბერიულ-კავკასიურ (ქართველური, აფხაზურ-ადიღეური, ნახური და დაღესტნური ენათა ჯგუფები), ინდოევროპულ (რუსული, უკრაინული, სომხური, ირანული ჯგუფის ენები) და ალთაურ (თურქული ჯგუფის ენები: აზერბაიჯანული და სხვ.) ენობრივ ოჯახთა ენებზე. აქ მცხოვრები ხალხები სხვადასხვა რელიგიის აღმსარებლები არიან.

იხ. მე-6 გვ.

ПОСТКОМУНИСТУРМА ДЕМОКРАТИУЛМА ГАРДАКЫМНЕБМА „ЧВЕНИ ТАВИ ГВЕРДИДАН ДАГВАНАХВА“. ЦАРИЗМИСА ДА ТОТАЛИТАРИЗМИС ОРСАУКУНОВАНИ ГАВЛЕНИС КВЕШ МЫОФИ КАВКАСИЕЛИ ХАЛХИС КУЛТУРУЛ-ИСТОРИУЛ СИНАМДВИЛЕС „ТЫВЕОБИС“ КВАЛИ, УДАВОД, ДАЕТЫО, ХОЛО РОГОРЦ КИ МОЕХСНА МАС ИМПЕРИИС ДАМТРГУНВЕЛИ ЧНЕХИ, ЧАРМОУДГЕНЕЛАД СЧРАФАД ДАИШАЛА „ХАЛХТА ДИАДИ КМОБА“ ДА МИС НАЦВЛАД ЧАРМОИШВА КОНФЛИКТИС РАМДЕНИМЕ КЕРА.

კავკასია — ცივილიზაციის უძველესი კერა

მეხუთე გვერდიდან

ქრისტიანები: ქართველებისა და აფხაზების უმრავლესობა, რუსები, უკრაინელები, ოსების ძირითადი ნაწილი, მოზდოკის ყაბარდოელები (მართლმადიდებლები), სომხები (მონოფიზიტები). დანარჩენი ხალხების დიდი ნაწილი მუსლიმები არიან, მათ შორის ლეკების მცირე ნაწილი – შიიტები; სხვები და ნაწილობრივ აფხაზები, ოსები და ქართველები (აჭარლები, ინგილოები) – სუნიტები. ქართველი (და მთიელი) ებრაელები იუდაისტები არიან.

განსხვავებით დასავლეთ-ევროპულისაგან, სადაც წამყვანი იდეოლოგია ქრისტიანობა იყო, კავკასიაში ქრისტიანობასთან ერთად გარკვეული ადგილი მუსლიმურ სარწმუნოებას (კონფესიას) ეკავა. საქართველოსა და სომხეთში პირველი საუკუნეებიდანვე იწყება ქრისტიანობის გავრცელება და IV საუკუნის დასაწყისში იგი სახელმწიფო რელიგიად ცხადდება. მოგვიანებით, რეგიონის ცალკეულ კუთხეებში ისლამიც იკიდებს ფეხს.

პოლიტიკური სირთულეების მიუხედავად, ძველთაგან კავკასიის რეგიონი ვითარდება, არსდება ქალაქები, ცხოველდება საქალაქო ცხოვრება (ხელოსნობა, ვაჭრობა), იქმნება მნიშვნელოვანი ინსტიტუტები (სახელმწიფო, სასამართლო და სხვ.), წინაურდება ხუროთმოძღვრება, მშენებლობა, მწერლობა, მუსიკა, მხატვრობა, ხელოვნების სხვა დარგები. სომხეთში მესროპ მაშთოცი (361-440) ქმნის ანბანს, წარმატებას აღწევს სომხური ისტორიოგრაფია (კორიუნი, აგათანგელოსი, ფავსტოს ფუზანდი, მოვსეს ხორენაცი, ლაზარ ფარპეცი, ანანია შირაკაცი), იგება შესანიშნავი ტაძრები, ვითარდება მხატვრობა და სკულპტურა.

შუა საუკუნეების აზერბაიჯანში დაწინაურდნენ და მსხვილ სავაჭრო და ხელოსნურ ცენტრებად იქცნენ ქალაქები: ბარდა, ბაქო, განჯა, შემახა, ნახიჩევანი. აქედან აღმოსავლეთის ქვეყნებში, ბიზანტიასა და ხაზარეთში გაჰქონდათ აბრეშუმი, ბამბა, შალეული, ნოხები, საღებავები და სხვ. საერთო-მუსლიმური კულტურის შექმნაში დიდია აზერბაიჯანის წვლილი (არაბებთან, ტაჯიკებთან, უზბეკებთან ერთად). უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ხაკანისა და ნიზამი განჯელის შემოქმედებას. აზერბაიჯანში ვითარდება მედიცინა, ასტრონომია, გეოგრაფია, ისტორია, ფილოსოფია. განსაკუთრებული თავისებურებით გამოირჩევა აზერბაიჯანული არქიტექტურა. დღემდეა შემორჩენილი შუა საუკუნეების დროინდელი ხუროთმოძღვრების მეტად საინტერესო ნიმუშები. **სწორედ შუა საუკუნეებში გაერთიანდა ფეოდალური საქართველო პოლიტიკურად და ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. საქართველოს წინსვლა მის განათლება-კულტურაშიც გამოიხატა. აქ მოხდა მართლმადიდებელი ქრისტიანული და მუსლიმური კულტურების შეხვედრა-შერწყმა. შეიქმნა მდიდარი, მაღალმხატვრული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, მაღალ დონეს მიაღწია საერო ლიტერატურამ, განვითარდა მხატვრობა (განსაკუთრებით მონუმენტური), ჭედური ხელოვნება, მუსიკა, შეიქმნა ხუროთმოძღვრული შედევრები. ხელოვნების მაღალი დონე ნათლად უჩვენებს ქართველთა მყარ ერთობას. XII საუკუნის დასაწყისში დავით IV აღმაშენებლის თაოსნობით დაარსდა უმაღლესი განათლების ცენტრი – გელათის აკადემია. იგი რეალური მოთხოვნილების საფუძველზე შეიქმნა და უნინარა იმ იდეოლოგიურ მოძრაობას, რომელიც გზას უკაფავდა კავკასიურ რენესანსს. XII საუკუნის დასაწყისიდან ფართოდ ვითარდება ქართული საერო მწერლობა, შეიქმნა საერო პოეზია. ქართული მწერლობის მაღალ დონეზე მიუთითებს ჩახრუხაძის „თამარიანი“, იოანე შავთელის „აბდულმესიანი“. ამ პერიოდში შეიქმნა მსოფლიო ლიტერატურის შედევრი – შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. მეცნიერების დარგებიდან დაწინაურდა ფილოსოფია, ისტორიოგრაფია. ამ დროს მიიღო ერთიანი, გაბმული ისტორიის სახე „ქართლის ცხოვრებამ“.**

* * *

განსაკუთრებულად მტკიცედ, შეკავშირებულად ჩანან კავკასიის ხალხები XI-XII საუკუნეებში. უდიდეს ყურადღებას აქცევდა და თავის საგარეო-პოლიტიკურ თვალსაწიერში წამყვან მიმართულებად მიაჩნდა დავით IV აღმაშენებელს (1089-1125 წწ.) საერთოდ კავკასიისა, და, კერძოდ, ჩრდილო კავკასიის ქვეყნებსა და ხალხებთან ურთიერთობა. მათში საქართველოს მეფე იმ მნიშვნელოვან ძალას ხედავდა, რომელსაც თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლასა და ერთიან კავკასიურ სახლად კონსოლიდაციაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლო.

კავკასია ერთიან გეოპოლიტიკურ სამყაროდ ჰქონდა წარმოდგენილი XI საუკუნის მემატიანეს ლეონტი მროველს, რომლის მიხედვითაც კავკასიის მოსახლეობა (ქართველები, სომხები, კავკასიის ალბანელები, ჩრდილო კავკასიის ხალხები) თარგამოსის რვა შვილის (ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკანი, ლეკი, ჰეროსი, კავკასი, ეგროსი) შთამომავალია. შუა საუკუნეების ისტორიკოსის ეს კონცეფცია, ასაბუთებს რა კავკასიური სამყაროს ერთიანობას, მნიშვნელოვან იდეოლოგიურ საფანელს უქმნის საქართველოს ხელისუფლების მიზანსწრაფვას, მის პოლიტიკურ საქმიანობას. კავკასიის ხალხებს აერთიანებდა არა მარტო საერთო წარმომავლობის (გენეტიკური კავშირის) რწმენა, არამედ ის ერთობაც, რომელიც შერწყმული იყო როგორც შინაგან წინააღმდეგობებთან, ომებთან და სხვ., ისე პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებთან, ყოფისა და ადათ-ჩვეულების მსგავსებასთან, კულტურული მიღწევებით ურთიერთგამდიდრებასთან. XI-XII საუკუნეებში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ განსაკუთრებული აქტუალობა შესძინა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ურთიერთობას.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჯერ მონღოლთა, შემდეგ კი თემურ ლენგის შემოსევებმა კავკასიის ქვეყნების ეკონომიკის მკვეთრი დაქვეითება განაპირობა და დასავლეთისა და აღმოსავლეთის შემაერთებელმა სავაჭრო მაგისტრალებმა სომხეთისაკენ გადაინაცვლეს. 1453 წელს ოსმანთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობამ კავკასია კარგა ხნით მოსწყვიტა დასავლეთის სამყაროს.

არ შეიძლება განსაკუთრებულად არ აღინიშნოს, რომ უდიდესი ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელსაც „აბრეშუმის დიდი გზა“ ეწოდებოდა, კავკასიაზე (კერძოდ, საქართველოზე) გადიოდა. ამ გზით ჩინეთი შავსა და ხმელთაშუა ზღვების სანაპიროებს უკავშირდებოდა. კერძოდ, კასპიის ზღვით ცენტრალურ კავკასიაზე გადიოდა, გადაკვეთდა საქართველოს და ფაზისიდან ბიზანტიონსა (კონსტანტინოპოლს) და რომს აღწევდა. ამ გზის მნიშვნელობა განუზომელია – მან რეალურად განსაზღვრა აღმოსავლეთისა და დასავლეთს შორის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარება.

* * *

კავკასიური ცივილიზაცია თავისი ხასიათით ლოკალურია; ის შემთხვევაა, როცა ლოკალურობა უნივერსალიზმის ბუნებრივი შემადგენელი ნაწილია. კავკასიური სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილის იდეოლოგიას ქრისტიანობა განსაზღვრავდა, მეორე ნაწილი ისლამის მიმდევარი იყო. როგორც ერთმა, ისე მეორე რელიგიამ დიდი როლი შეასრულა ცივილიზაციური პროცესების წარმართვაში. შეიქმნა დიდი ქრისტიანული კულტურა (ლიტერატურა, მუსიკა, ხუროთმოძღვრება, ოქრომჭედლობა და სხვ.). ისლამის (ფაქტობრივად, ეს არაბულ-ისლამური ცივილიზაცია იყო) გავლენით დაიძლია ადრეშუასაუკუნეობრივი ბარბარიზაცია და წინარენესანსული შეფერილობა მიეცა შუა საუკუნეებს.

მსოფლიოში შექმნილმა ვითარებამ, დაჩქარებულად (განსაკუთრებით

წარსულის უკეთ გააზრებითა და დაფასებით შევძლებთ ჩვენი ქვეყნისთვის წარმატებული მომავლის აშენებას

შალვა პაპუაშვილის სიტყვა საერთაშორისო ქართველოლოგიურ კონგრესზე

მოხარული ვარ, რომ თბილისში საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესის გამართვის ტრადიცია გრძელდება. ეს თავყრილობა არამხოლოდ ჩვენს მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას ეძღვნება, არამედ დადასტურებაა ძალისხმევის, რომელიც ჩვენი ენის, ლიტერატურის, ისტორიის, კულტურის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციაზეა მიმართული.

დღეს ხაზს ვუსვამთ უდიდეს წვლილს, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა შეიტანეს ჩვენი ერის თვითმყოფადობის გამომხატველი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის შექმნაში. ყოველთვის სიამაყით წარმოვთქვამთ ქართველოლოგიური სამეცნიერო სკოლების ფუძემდებელთა – ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძის, შალვა ამონაშვილის, გიორგი ჩიტაიას სახელებს. ამავე დროს, განსაკუთრებით საამაყოა, რომ საქართველოს ისტორიასა და კულტურულ მემკვიდრეობას იკვლევდნენ მსოფლიოში აღიარებული ევროპელი ქართველოლოგებიც: მარი ბროსე, დევიდ ლანგი, იულიუს ასფალგი, ჰუგო შუხარდტი და სხვანი. ამ ადამიანებმა ხელი შეუწყეს ქართული წვლილის გამოვლენას საკაცობრიო ცივილიზაციის განვითარებაში.

ქართული ენა, ლიტერატურა, ისტორია, კულტურა გვაერთიანებს, როგორც ერს. სწორედ ჩვენი განსაკუთრებული კულტურული მემკვიდრეობით ვადგავართ ევროპულ გზას. სწორედ ჩვენი ათასწლეულებით ჩამოყალიბებული იდენტობით გავხდებით ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი და გავამდიდრებთ ევროპულ ოჯახს, მათ შორის, ჩვენი უნიკალური ენით, რომელიც ევროკავშირის 24 ოფიციალურ ენას დაემატება და დამწერლობით, რომელიც ევროკავშირში მეოთხე დამწერლობა იქნება.

თანამედროვე მსოფლიოში, გლობალიზაციის ფონზე, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ისეთი მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს. ამიტომ ძალიან ვაფასებთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ძალისხმევას, რომელიც ჩვენი ეროვნული ენის, ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი დარგების შენარჩუნებასა და შემდგომ განვითარებაზეა მიმართული.

დღევანდელი კონგრესი შესანიშნავი პლატფორმაა მკვლევრებსა და მეცნიერებს შორის ცოდნისა და იდეების გაცვლისათვის, რაც ხელს შეუწყობს ქართველოლოგიის სფეროს თანამედროვეობასთან შესაბამისობაში განვითარებას.

წარსულის უკეთ გააზრებითა და დაფასებით შევძლებთ ჩვენი ქვეყნისთვის წარმატებული მომავლის აშენებას. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა ჩვენი სიძლიერეა. ამიტომ მნიშვნელოვანია მისი შენარჩუნება და დაცვა, რათა ქართული კულტურის სიდიადე მომავალ თაობებს გადავცეთ.

ბოლოს, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქართველოლოგიის ქართველ და უცხოელ მეცნიერებსა და მკვლევრებს მათი ძალიან ღირებული საქმიანობისთვის.

ასევე, მადლობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას დღევანდელი ღონისძიების უკვე მეოთხედ ჩატარებისთვის.

ჯაბა სამუშია, აკადემიკოსი:

ქართველოლოგია ჩვენი გადასარჩენი, ჩვენი მოსავლელი, ჩვენი ასაღორძინებელი დარგია! მის განვითარებას საგანგებო სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება სჭირდება.

XXI საუკუნეში) მიმდინარე გლობალიზაციურმა პროცესებმა კონკრეტულად დააყენა ცივილიზაციების საკითხი. დასავლეთის (უპირატესად ევროპის, შემდეგ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების) გავლენა მსოფლიოზე და მასთან წინააღმდეგობა სხვა ცივილიზაციებისა, ცივილიზაციათა შეჯახებებს განაპირობებს. ამისი არაერთი მაგალითი არსებობს. ცივილიზაციის ზოგადი ობიექტური მონაცემებია: ენა, ისტორია, რელიგია, ტრადიციები, ასევე თვით ადამიანთა სუბიექტური თვითიდენტიფიკაცია. სწორედ ყველა ამ მონაცემებითაა უაღრესად საინტერესო კავკასიური ცივილიზაცია; ცივილიზაცია, რომელიც, თავისი ლოკალურობის მიუხედავად, საერთო-ევრაზიული ცივილიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილია და მის კონტექსტში თავსდება.

ჩვენ შეგნებულად ვამახვილებთ ყურადღებას კავკასიური ცივილიზაციის ლოკალურობასა და ტრადიციულობაზე. საქმე ისაა, რომ მეცნიერები ცივილიზაციათა კლასიფიკაციაში კავკასიურს საერთოდ არ მოიხსენიებენ. **არნოლდ ტოინბი** ისტორიას მოიაზრებდა როგორც ლოკალური ცივილიზაციების მიმოქცევას, რომელთაც იგი 21-ს მოითვლიდა, შემდეგ თავადვე შეამცირა 13-მდე (ეს ინგლისელი მეცნიერის რამდენადმე სქემატიზებული კონცეფციაა). ა. ტოინბისთვის ცივილიზაციები ადამიანთა საზოგადოებების გარკვეული ტიპები იყო, რომლებიც ერთგვაროვან ასოციაციებს იწვევდნენ რელიგიის, ხუროთმოძღვრების, მხატვრობის, ადათ-წესების – ზოგადად კულტურის სფეროში. თანაც მეცნიერი კულტურას განიხილავს დროსა და სივრცეში და თვლის, რომ ასე შეიძლება ცივილიზაციის ერთეულის განსაზღვრა. ა. ტოინბისეული ცივილიზაცია ესაა თვითიდენტიფიკაციის საზღვარს მიღწეული კულტურა, რაც შეიძლება იყოს ადამიანური და გლობალური ცივილიზაციის ფარგლებში. **მეცნიერი ე. წ. დამოკიდებულ ცივილიზაციათა შორის მოიხსენიებს მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ ცივილიზაციას რუსეთში. ამ ფონზე გაუმართლებლად გვეჩვენება კავკასიური ცივილიზაციის არ მოხსენიება, იგნორირება.**

* * *

კავკასიის რეგიონის საგარეო პოლიტიკა ორი მიმართულებით ვითარდებოდა:

1. პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობები კავკასიის რეგიონს შიგნით, კავკასიის ქვეყნებში. ეს თავისთავად მნიშვნელოვანი პრობლემა იყო. როგორც ზემოთაც ვნახეთ, კავკასიაში დიდი სიჭრელეა ეროვნული თუ რელიგიური თვალსაზრისით, სოციალური თუ კულტურული დონის მიხედვით და, ცხადია, შიდაკავკასიური პრობლემები უხვად იყო ისტორიის მთელ მანძილზე. ამდენად, პირველი რიგის ამოცანა სწორედ შიდაკავკასიური მშვიდობა იყო.

2. საგარეო ურთიერთობები რეგიონს გარეთ მდებარე ქვეყნებთან: რომის იმპერიასთან, ბიზანტიასთან, ირანთან, ოსმალეთთან, ევროპის, აზიისა და აფრიკის სხვა ქვეყნებთან.

ჩვენ უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური ტრადიციები, ამ ტრადიციების გავლენა საგარეო პოლიტიკაზე. დიპლომატია გარკვეულ დონეზე ამსახველია საზოგადოების პოლიტიკური კულტურისა, რომელიც, თავის მხრივ, პოლიტიკური ტრადიციებით განისაზღვრა. ამ უკანასკნელში ჩადებულია ამა თუ იმ სახელმწიფოს ეთნოკულტურული თავისებურებები.

კავკასიის რეგიონისთვის, ისე როგორც ყველა ქვეყნისთვის, უაღრესად მნიშვნელოვანია საგარეო და საშინაო პოლიტიკის ურთიერთკავშირი. ანალიზი გვიჩვენებს, რომ მტრები, რომლებიც ქვეყნის დაქუცმაცებასა და დამორჩილებას ისახავენ მიზნად, ყოველთვის ეყრდნობოდნენ ქვეყნის შიგნით არსებულ სეპარატისტულ ძალებს. სეპარატიზმს ჩვენში დროზე არ მიექცა ყურადღება. ვერავინ იფიქრა, რომ შეიძლებოდა ძველი წყობის დამხობა და, რომ ამის შემდეგ სეპარატიზმს ხელ-ფეხი გაეხსნებოდა. იმპერიისგან თავდასხმის მომენტი ცალკეული რეგიონების მიერ (მაგალითად, საქართველოში) გამოყენებულ იქნა გამოყოფისთვის. ცხადია, იქ გარეშე ძალებმა შეასრულეს დიდი როლი. დესტრუქციული ნაციონალიზმი და მისი უკიდურესი გამოვლენა – სეპარატიზმი ძვირი უჯდებათ ხალხებს.

კავკასიის ხალხებმა აღარ უნდა გაიმეორონ ახლო წარსულის შეცდომები, როცა 1918-21 წლებში სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკა (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) არსებობდა და როცა ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ და აშშ-მა გამოიჩინეს ინტერესი და რეგიონზე თავისი პროტექტორატის გავრცელება მოინდომეს. ამიერკავკასიაში გამუდმებული შიდაომებისა და ეთნოკონფლიქტების გამო მსოფლიოს ეს უდიდესი სახელმწიფოები იძულებულნი გახდნენ, ამ იდეის განხორციელებაზე უარი ეთქვათ. ამით რუსეთმა ისარგებლა და ყველაფერი გააკეთა ამიერკავკასიაში დამკვიდრებისათვის.

კავკასიის ხალხებმა აღარ უნდა გაიმეორონ ახლო წარსულის შეცდომები, როცა 1918–21 წლებში სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკა (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) არსებობდა და როცა ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ და აშშ–მა გამოიჩინეს ინტერესი და რეგიონზე თავისი პროტექტორატის გავრცელება მოინდომეს. ამიერკავკასიაში გამუდმებული შიდაომებისა და ეთნოკონფლიქტების გამო მსოფლიოს ეს უდიდესი სახელმწიფოები იძულებულნი გახდნენ, ამ იდეის განხორციელებაზე უარი ეთქვათ. ამით რუსეთმა ისარგებლა და ყველაფერი გააკეთა ამიერკავკასიაში დამკვიდრებისათვის.

ვფიქრობთ, რუსეთის მთავრობის პოზიციის განსაზღვრისა და მათთვის კავკასიის მნიშვნელობის გარკვევისთვის ძალიან საინტერესოა ი. სტალინის ინტერვიუ, რომელიც „პრავდაში“ დაიბეჭდა 1920 წლის 30 ნოემბერს: „Важное значение Кавказа для революции определяется не только тем, что он является источником сырья, топлива и продовольствия, но положением его между Россией и Турцией, и наличием важнейших экономических и стратегических дорог (Батум – Баку, Батум – Тавриз, Батум –Тавриз – Эзерум)“.

ნიშანდობლივია, რომ მსოფლიო წესრიგის მოდელი უნიპოლარულობას (ერთპოლარულობას) გულისხმობს. აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ თანამედროვე მსოფლიო ჯერჯერობით შორსაა ერთპოლარულობისაგან. ამისი მიზეზი კი ისაა, რომ სახელმწიფოთა შორის დიდი სხვაობაა ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით. ძნელია თანამშრომლობა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებსა და ე. წ. „მესამე სამყაროს“ სახელმწიფოებს (მათ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიც შეუერთდა) შორის. ეს განსაკუთრებით მაშინ, როცა გააფთრებული კონკურენციაა გასაღების ბაზრებისთვის, ბრძოლაა საზღვარგარეთული კაპიტალის შემოჭრის წინააღმდეგ, როცა ეროვნული ეკონომიკა დამოკიდებული ხდება საზღვარგარეთ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. კონკურენტთა შერწყმა ერთ მთლიან ორგანიზმად პრაქტიკულად შეუძლებელია. კავკასიის რეგიონი, აქ არსებული რთული პროცესების გამო, რიგი მოუგვარებელი პრობლემების მიზეზით ძნელად შედის ინტეგრაციულ-გლობალიზაციურ პროცესებში.

პირველი რიგის კავკასიური პრობლემაა ეთნოკონფლიქტების მოგვარება, ცალკეული სახელმწიფოების (აზერბაიჯანი, საქართველო) ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და საერთო მშვიდობის დამყარება.

დაბოლოს, საჭიროა კავკასიის „შეკრება“, თანაც ისე, რომ არც ერთი მხარის მიერ შემოთავაზებული არც ერთი დასმული საკითხი არ დარჩეს ყურადღების მიღმა. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ერთი პირობით: ეს პირობაა რეგიონის ცალკეულ სახელმწიფოთა მიდგომების შეთანხმების აუცილებლობა, რეგიონული განვითარების უმთავრესი საკითხების დადგენა და შეფასება, საერთო-რეგიონული ფასეულობების სისტემის შემუშავება. უნდა შემუშავდეს პოლიტიკა, რომლის მთავარი ამოცანა იქნება კონფლიქტების შემსუბუქება და ადაპტაციურ მექანიზმებში დარღვევების გამოსწორება, შეთანხმების მიღწევა ძირითადი საკითხების შეფასებაში.

უდავოა, რომ ამ შეუჩერებელი გლობალიზაციური პროცესების მიმდინარეობისას აუცილებელია თითოეული ერის საუკუნეებგამოვლილი ტრადიციების შენარჩუნება; შენარჩუნება იმ ყოველივე ფასეულისა, რაც ადამიანებს სხვადასხვა ფენომენის (ენა, სარწმუნოება, ფოლკლორი, კულტურის სხვადასხვა ორიგინალური კომპონენტი) სახით შეუქმნიათ. დიდი სახელმწიფოების ყოველი გაუაზრებელი გადაწყვეტილება დაპირისპირების საფუძველს იძლევა. კონფლიქტები ისედაც გვჭირია დღევანდელ მსოფლიოში, რომელთა გადაჭრაა საჭირო. ეს კავკასიის რეგიონზეც ითქმის. კავკასიურ ცივილიზაციას გლობალიზაციის პირობებში გადარჩენა-შენარჩუნება და შემდგომი განვითარება სჭირდება.

იხ. მე-8 გვ.

იაპონელი ქართველოლოგი ჰიროტაკე მაედა

კავკასია — ცივილიზაციის უძველესი კერა

მეშვიდე გვერდიდან

* * *

თანამედროვე კავკასიაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები აშკარად გვიჩვენებს, რომ რეგიონი არც გეოპოლიტიკურად და არც სოციალურ-ეკონომიკურად ერთგვაროვანი არ არის. მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა, სომხეთმა და საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვეს, საშუალება მიეცათ, ჩაბმულიყვნენ საერთო-კავკასიურ ინტეგრაციულ პროცესებში. ამასთან, მოპოვებულმა სუვერენიტეტმა უზრუნველყო მათი უფლებები, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ გეოსტრატეგიული პრობლემები. საქართველომ და აზერბაიჯანმა პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად დასავლეთის ქვეყნებთან დაახლოება და თურქეთთან მჭიდრო ურთიერთობა გახადეს. არ შეიძლება მხედველობაში არ იქნეს მიღებული, რომ კავკასიისადმი, როგორც ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური ერთეულისადმი, ყოველთვის იჩენდნენ ინტერესს რუსეთი, ირანი და თურქეთი. თითოეულ ამ სახელმწიფოს ისტორიულადაც და დღესდღეობითაც თავისი დამოკიდებულება ჰქონდა და აქვს კავკასიის რეგიონისადმი და თავისებურად ესმის კავკასიაში შემავალ სახელმწიფოთა მთლიანობა. ნიშანდობლივია, რომ თვით კავკასიის სახელმწიფოთა შორის შეინიშნება გეოსტრატეგიული პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულება (საქართველოსა და აზერბაიჯანის პრიორიტეტია დაახლოება დასავლეთთან და თურქეთთან, სომხეთისა – ირანთან და რუსეთთან), რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეთნოკონფლიქტების სიმრავლესა და სიმწვავეს ცენტრალურ კავკასიაში.

* * *

ცენტრალური კავკასიისაგან სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაშია ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასია. იქ არსებული სოციალურ-პოლიტიკური პირობების გამო მათი მონაწილეობა საერთო-რეგიონული ინტეგრაციულ პროცესებში გართულებულია. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასია რუსეთის, თურქეთისა და ირანის შემადგენლობაში შედიან, მათ დამოუკიდებლად არ შეუძლიათ კავკასიურ პროცესებში მონაწილეობა. ცხადია, ისინი მოქმედებენ თავიანთი სახელმწიფოების მიერ განსაზღვრული კანონმდებლობისა და პოლიტიკის ჩარჩოებში.

ამგვარად, კავკასიის სივრცეში შექმნილი ვითარება ართულებს რეგიონის ინტეგრაციის პროცესს. აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ კავკასია ისტორიულად ერთიანი რეგიონი იყო. კავკასიის ხალხების სოციალურ-ეკონომიკური კავშირები ქმნიდნენ ურთიერთდაკავშირებულ ერთიან რეგიონულ ეკონომიკას და საერთო ღირებულებებს. ამ ღირებულებებში ჩვენ უპირატესად კავკასიის ხალხების კულტურას ვგულისხმობთ, უაღრესად ფასეულს, მნიშვნელოვანს. პოლიტიკური ვითარება, შესაძლოა, ძველადაც რთული იყო, მაგრამ კულტურული სივრცე ურთიერთმისაწვდომი და ერთმანეთთან დაახლოებული იყო. შესაბამისად, მენტალობაშიც გარკვეული სიახლოვე იყო.

ერთი სიტყვით, ამ საკმაოდ რთულსა და უაღრესად საინტერესო რეგიონს ევრაზიულ სივრცეში თავისი განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამოცანა ერთია – საერთო გლობალიზაციურ პროცესებში არ უნდა დაიკარგოს კავკასიური ცივილიზაცია. გლობალიზაცია არ არის საფრთხე კულტურისთვის – იუნესკოში გაცხადებული ეს დებულება უნდა გავამართლოთ ჩვენ (საზოგადოებამ, ხელისუფლებამ) და ინტეგრაცია-გლობალიზაციის პროცესი კულტურული საუნჯეების გადარჩენისა და მათი მსოფლიო საგანძურში შეტანის ნიშნით წარიმართოს.

ანტონ ფურცელაძის სახლის ახალი დანიშნულება

საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის თეა წულუკიანის ინიციატივითა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ცნობილი ქართველი მწერლის, პოეტისა და მთარგმნელის ანტონ ფურცელაძის (1839-1914), დროებით საოკუპაციო ხაზთან, სოფელ არგოში მდებარე საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია-რესტავრაცია დასრულდა.

კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა განახლებული სახლი ანტონ ფურცელაძის შთამომავლებთან ერთად მოინახულა.

საცხოვრებელი სახლის ორსართულიან ნაგებობას, რომელიც ნახევრად განადგურებული იყო, კონსერვაცია-რესტავრაცია და სარეაბილიტაციო სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისთვის შესაბამისი მეთოდოლოგიისა და მასალების გამოყენებით ჩაუტარდა.

რესტავრაციის პროცესში პირველ ეტაპზე ჩატარდა სადემონტაჟო სამუშაოები. რესტავრაციისას ფასადებსა და ინტერიერში შემორჩენილი ავთენტიკური ფორმების მაქსიმალურად შენარჩუნება მნიშვნელოვანი იყო. ორნამენტები აღდგა შაბლონების მიხედვით; ახალი კარ-ფანჯარა დამზადდა მყარი ჯიშის ხისგან; სრულად რესტავრირდა აივანი; შენობის სამღებრო სამუშაოებისთვის შესაბამისი ფერი შეირჩა რესტავრაციის პროექტის ავტორის მონაწილეობით; აღდგა კიბის უჯრედი; რესტავრირდა ეზოში შესასვლელი ჭიშკარი და მოეწყო ახალი ღობე; მოწესრიგდა ეზოს ტერიტორია და რესტავრაცია ჩაუტარდა ეზოში პატარა აუზს; ამასთანავე, აღდგა შესაბამისი წყალგაყვანილობის სისტემა; სრულად განახლდა ისტორიული მარანი, სარდაფში დაიგო ძველი ქართული აგური და აღდგა კედლები.

აღსანიშნავია, რომ სამომავლოდ იგეგმება საცხოვრებელი სახლის ერთი ნაწილისათვის საგანმანათლებლო ფუნქციის მინიჭება, რის შედეგად ახალგაზრდებს მიეცემა შესაძლებლობა, მიიღონ მრავალფეროვანი განათლება.

2021 წელს სოფელ არგოში მდებარე ანტონ ფურცელაძის საცხოვრებელ სახლს საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი ესტუმრა. იგი გაეცნო ძეგლის იმჟამინდელ მდგომარეობას და პირობა მისცა არგოს მოსახლეობას, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი სრულად აღდგებოდა, რაც განხორციელდა კიდეც.

ანტონ ფურცელაძის საცხოვრებელი სახლი ნაგებია აგურითა და ნატეხი ქვით. პირველი სართულის დერეფანს გასდევს ოთხი სხვადასხვა ზომის ოთახი. მეორე სართული პირველი სართულის საპროექტო გეგმას იდენტურად იმეორებს. სარდაფის უმეტესი ნაწილი უჭირავს მარანს. ზედა სართულის კაპიტალური კედლის საყრდენი აგურის ბურჯები და მასიური თაღებია. მარანში არის 36 სხვადასხვა ზომის ქვევრი. ანტონ ფურცელაძე ლომოურების სიძე იყო, ამიტომაც მისი სახლი 1898 წლიდან დგას სოფელ არგოში. XX საუკუნის 60-იან წლებში აქ რვაკლასიანი სკოლა იყო.

შენობას 2013 წლის 12 მარტს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

გურამ შარაძის ხსოვნის საღამო

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დამოუკიდებლობის დარბაზში გურამ შარაძის ხსოვნის საღამო გაიმართა.

საღამო ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა კონსტანტინე გამსახურდიამ გახსნა. მას უყვარდა ეს კედლები. ბიბლიოთეკა მისთვის განსაკუთრებული ადგილი იყო. ჩემს წიგნში „სამშობლოსა და ერი-სახელმწიფოსთვის“ ერთი თავი გურამ შარაძეს ეძღვნება. ამ თავში საუბარია იმაზე, თუ როგორ ცდილობდა ბატონი გურამი კოლხური კოშკის და მასში დაცული არქივის გადარჩენას. მცირედით მაინც მამშვიდებს ის, რომ სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე მისთვის მადლობის გადახდა მოვახერხე, – განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიამ.

გურამ შარაძის ქალიშვილმა რუსუდან შარაძემ ეროვნულ ბიბლიოთეკას მამის პირადი კოლექციიდან XVII საუკუნის იტალიური მხატვრობის ნიმუში გადასცა.

მანამდე რუსუდან შარაძემ მამის კერძო კოლექციიდან ეროვნულ ბიბლიოთეკას ლადო გუდიაშვილის, თენგიზ მირზაშვილის, ვლადიმერ გრიგოლიას, უჩა ჯაფარიძის, კოტე კვალიაშვილის, ირაკლი ფარჯიანის ნამუშევრები გადასცა.

გურამ შარაძის არქივი და კოლექცია ეროვნული ბიბლიოთეკის ემიგრაციის მუზეუმში მდებარე გურამ შარაძის კაბინეტში ინახება.

საღამოზე მოწვეულ სტუმრებს საჩუქრად გადაეცათ ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოცემული გურამ შარაძის წიგნები, ჩატარდა დოკუმენტური ფილმის ჩვენება.

27.09.1993 – სოხუმის დაცემის დღე

ძვირფასო რედაქცია!

სოხუმის დაცემიდან 31 წელი გავიდა!

აფხაზეთი ისევ ელის თავის მკვიდრ შვილებს!

დევნილები გთხოვთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას, რომ გაიმეოროთ ამავე გაზეთის 15 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული სულის შემძვრელი წერილი, **„სადაც სიყვარულს კლავენ, იქ ბედნიერება ვერ დაივანებს“** პუბლიცისტ **დიმიტრი მუხაშვილის** ავტორობით.

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები
ვლადიმერ ჯანტურიძე,
ვალერი ოჩიგავა,
გივი ფაჩულია.

რედაქცია სიამოვნებით ასრულებს დევნილი ვეტერანების თხოვნას.

* * *

ისინი ერთი ცის, ერთი მიწის, ერთი ქვეყნის შვილები იყვნენ. მათ ბავშვურ გატაცებას და გაუფურჩქნავ სიყვარულს უღრუბლო ცა დაჰნათოდა და მას არაფერი ემუქრებოდა.

ნათია სოფელ ბზიფის ქართული საშუალო სკოლის მეათე კლასში სწავლობდა, ერთი წლით უფროსი ასტამური კი იმავე სოფლის რუსულ-აფხაზური სკოლის დამამთავრებელ კლასში. მათ ურთიერთობას ვერავინ ამჩნევდა, რადგან სანუკვარ გრძნობას მალვით, სათუთად უფრთხილდებოდნენ და მოწიწებით ელაციცებოდნენ ისე, როგორც დიდ რუსთაველს აქვს ნათქვამი: „სიყვარულსა მალვა უნდა...“

მაგრამ ვაი, რომ ჩასაფრებულ მტარვალს არ ეძინა, იგი ბედნიერების, სიკეთის საკლავ დანას ლესავდა. და აი, 1992 წლის „ცხელმა ზაფხულმა“ ვერაგულად შემოაბიჯა საქართველოში... ორ მოძმე ხალხს შორის აფხაზეთში მუხანათი მტრის ხელით დანთებულ ცეცხლს აგვისტოს ხვატის მცხუნვარება უფრო აძლიერებდა, ჰაერიც დენთის სუნით იუღინთებოდა. ორივე მხარე ძმათამკვლელ ომს იწყებდა...

სოფელი ბზიფი ქართველებისაგან იცლებოდა. უფრო ქალები და ბავშვები ტოვებდნენ საკუთარ კარ-მიდამოს. ფიზიკურად ძლიერი მამაკაცები და უმწეო მოხუცები სახლში რჩებოდნენ. პირველნი – საკუთარი კუთხის და კერის დასაცავად, მეორენი კი – ხელშეუხებლობის იმედით. თუმცა...

ნათია და მისი ოჯახი სოფლის განაპირას ცხოვრობდნენ. დედა წინა წელს გარდაეცვალა. მამა კი ომის დაწყებისთანავე სეპარატისტებმა მოკლეს. სახლში მხოლოდ მოხუცი პაპა გიორგი და შვილიშვილი დარჩნენ. მოხუცებულის იმედად მყოფ ნათიას გარეთ გასვლისა ეშინოდა. ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების გულშემზარავი ხმაური ელდას სცემდა. შეშინებული გოგონა ხან კედლებს, ხანაც იატაკს ეკვროდა და შიშით ძრწოდა, პაპა შვილიშვილს კი ამშვიდებდა, მაგრამ... სოფლის ცენტრში მცხოვრები ასტამური დღეში ერთხელ მალულად მოდიოდა და საჭმელი მოჰქონდა მათთვის.

* * *

...ერთხელ, როცა ასტამურმა პაპას და შვილიშვილს სურსათ-სანოვაგე მოუტანა, ყოველგვარი საფრთხის მოლოდინის გარეშე სახლში დაბრუნდა. სწორედ მაშინ მსტოვართა სახლს შეიარაღებული გადამთიელები ეწვივნენ. მასპინძელს უხმეს. მოხუცმა ჭიშკარი გაუღო დაუპატიჟებელ სტუმრებს. ძალდატანებით, მაგრამ ტრადიციული წესით შეეგება და სახლშიც შეიპატიჟა. გააზატებულმა მომხდურებმა მაშინვე სასმელი მოიკითხეს. ვიდრე პაპა გიორგი ღვინოს მარნიდან ამოიტანდა, ნათია სუფრის გაწყობას შეუდგა. მოხუცმა ღვინით სავსე ხელადა სუფრაზე დადგა და „სტუმრები“ სუფრასთან მიიწვია. თუმცა დიდი მიწვევა და თავ-პატიჟი მათ არ დასჭირვებიათ. მგლებივით დამშეული ჯგრო სვავებივით დააცხრა გაშლილ სუფრას და მასპინძელს კი არა, ერთმანეთსაც აღარ ეკითხებოდნენ. კარგა ხანს შეექცეოდნენ ოჯახურ ნოვაგს. მერე, როცა დანაყრდნენ ერთ-ერთმა, ბანდის უფროსის შთაბეჭდილებას რომ ტოვებდა – არაყიც მოითხოვა. მასპინძელმა მოთხოვნა შეასრულა. მეთაურად ცნობილმა ახმახმა ყველას ხალვათად ჩამოუსხა ჭიქებში არაყი, ფეხზე წამოდგა, თანამეინახეთ მედიდურად გადაავლო თვალი და არაბუნებრივი პათოსით წარმოთქვა:

– ჩვენს გამარჯვებას გაუმარჯოს! და სასმისი სწრაფად გადაჰკრა. სხვებმაც მიბაძეს.

– აბა, მოხუცო, შენც ჩვენთან ერთად შესვი ეს სადღეგრძელო, გარწმუნებ, ეს ომი მალე ჩვენი გამარჯვებით დამთავრდება. პაპა გიორგიმ ჭიქა გვერდზე გასწია და „ბოევიკს“ შეხედა.

– რაო, არ გსურს, ჩვენი გამარჯვების სადღეგრძელო დალიო?! მაშინ თქვენი დამარცხებისა



ნამდვილი ამბავი
გასაგები მიზეზების გამო გვარ-სახელები შეცვლილია

დალიე. დამცინავად უთხრა მეთაურმა და ჭიქა პირთან მიუტანა. მოხუცმა თავი გვერდზე მიაბრუნა და შეურაცხყოფილი განზე გადგა.

– ავადაა პაპა, წამლებს სვამს და ექიმებისგან სასმელი აქვს აკრძალული. – ვითარების განმუხტვის მიზნით გამოესარჩლა პაპას შვილიშვილი.

– მაშინ მის მაგიერ შენ დალიე ცუგრუმელა, – ირონიულად მიმართა შემკრთალ გოგონას და ხელი ნიკაპზე უხეშად ამოუსვა, მეორე ხელით კი მის მკერდს შეეხო. უზომოდ შეძრწუნებული ნათია საშველად პაპის ზურგს უკან აიტუზა და ცახცახმა აიტანა. შეშინებულ გოგონას ახლა სხვებმა წაატანეს ხელი და მისი გაყვანა სცადეს მეორე ოთახში.

– ხელი არ ახლოთ ბავშვს, თორემ!!! – მრისხანედ შეუტია მოხუცმა ავაზაკ მოძალადეებს.

– თორემ რა, რას იზამ ვითომ? – დამცინავი და გამომწვევი ღიმილით კბილებში გამოსცრა ახმახმა და თავისიანებს თვალით ანიშნა, გაიყვანეთო. პაპა გიორგი მაინც შეეცადა მათ შეგონებას მაგრამ...

იმედგაცრუებულმა მოხუცმა მგლის თავზე სახარების კითხვას თავი ანება და ყოველი შემთხვევისთვის თავდაცვის მიზნით უბეში გადანახული დანა ელვისებურად ამოაძვრინა და თვალის დახამხამებაში ახმახს მთელი ძალით მკერდში აძგერა. სისხლმა მკერდიდან შადრევანივით იჩქეფა. ახმახი შეტორტმანდა და ვიდრე წაიქცეოდა, ერთხელ კიდევ და უკანასკნელად კბილებში გესლიანად გამოსცრა:

– რას უდგეხართ, ჩააძაღლეთ ეს ძაღლიშვილი!.. გვერდში მდგომმა ყაჩაღმა მაშინვე ავტომატის ჯერი მიუშვა უკვე გმირად შერაცხილ პაპას, რომელსაც საყვარელი შვილიშვილის დაცვა აღარ შეეძლო...

ზღვარგადასულმა ავაზაკებმა მიატოვეს სისხლში მცურავი ხროვის წინამძღოლი და გულგახეთქილ ნათიას გაეკიდნენ, რომელსაც თავის ოთახში ჩაკეტვა მოესწრო. კარები შეამტვრიეს და შიგნით შეცვივდნენ. გამხეცებულმა ნაძირალებმა თავისი ცხოველური ჟინი აისრულეს და ცოცხალ-მკვდარი გოგონა ეზოში დააგდეს. შემდეგ ავტომატის ჯერით საბოლოოდ მოუსპეს სიცოცხლე...

* * *

აფხაზი ბიჭი მორიგი მოვალეობის აღსასრულებლად ლტოლვილებთან იმ დროს დაბრუნდა, როცა საშინელი ტრაგედია დასრულდა. სულისშემძვრელი სურათი დახვდა გაოგნებულ ჭაბუკს. უკიდურესად შეძრწუნებული და თავზარდაცემული ვეღარ აცნობიერებდა, სად იმყოფებოდა, რა ხდებოდა მის თავს. როცა ოდნავ გონს მოეგო, სისხლში განმბანილ უსიცოცხლო სატრფოს ცხედართან დაიხარა, „მძინარე მზეთუნახავივით“ რომ გამოიყურებოდა და მის ლამაზ სახეს თავდავიწყებით დაეკონა... დიდხანს მწარედ ქვითინებდა...

ორი დღე მარტომ იგლოვა თავისი შეყვარებული და მისი გმირი პაპა. მიცვალებულთა ცხედრებს კი მიწისთვის მიბარება და გაპატიოსნება სჭირდებოდათ. დაცლილი სამეზობლოს გამო მწუხარების გაზიარებაც არავის შეეძლო. აფხაზეთის ტრაგედიის მომწყობნი მიცვალებულთა უკანასკნელ გზაზე გაცილების ნებას კი არა, მათი უბრალოდ მიწისათვის მიბარებასაც არავის ჰპატიობდნენ. ასტამურმა გადაწყვიტა, საყვარელი ადამიანების ცხედრებისთვის შეძლებისდაგვარად პატივი მიეგო. მაგრამ ისიც კარგად უწყოდა, მარტო ამ საქმეს ვერ შეძლებდა და დახმარებისთვის ვინმესთვის უნდა მიემართა. უცებ მის გონებაში ამოტივტივდა სოფელში პატიოსნებითა და სიდარბაისლით სახელგანთქმული ხანდაზმული თარაშ ხიშბა, რომელსაც ჭირსა და ლხინში რჩევა-დარიგებას ეკითხებოდნენ. ძალიან გაუხარდა მოხუცს ასტამურის სტუმრობა, რადგან კარგი ახალგაზრდის ნახვა მას დიდად სიამოვნებდა. როცა გაიგო მომხდარი უბედურების შესახებ, დიდად შეწუხდა, აღშფოთდა და მკვლელების მიმართ განრისხებული სიძულვილის გრძნობით განიმსჭვალა, ასტამურს კი დახმარება აღუთქვა. თარაშ ბაბუმ და ასტამურმა სარდაფში მონახეს საჭირო მასალები, იარაღები და ჩასასვენებლები გაამზადეს. საღამოს 7 საათისათვის სადარბაზო ოთახში დასვენებულ ცხედრებს ორი მგლოვიარე მამაკაცი ეჯდა. ერთი – უზომოდ დამწუხრებული და თავზარდაცემული თავის სატრფოს და მის გმირ პაპას უკანასკნელად ეთხოვებოდა, ხოლო მეორე – სიბრძნით აღსავსე აფხაზი კაცი ლოცვით მუხლმოყრილი განსვენებულთათვის წესის აგების რიტუალს ასრულებდა. შემდეგ ტრადიციისამებრ პურით და ღვინით სულის მოსახსენებელი თქვეს და შებინდებისას ვენახის თავში საფლავის თხრას შეუდგნენ. შუაღამისას ორმა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა აფხაზმა პაპას და ნათიას ერთ საფლავში მიუჩინეს სამუდამო განსასვენებელი...

კეთილგონიერ, დიდსულოვან თარაშ ბაბუს და ალალმართალ ასტამურს გარდა სოფ. ბზიფსა და მთელ აფხაზეთში საბედნიეროდ კიდევ ცხოვრობდნენ ქართველთა მეგობრები და მათი მფარველი აფხაზებიც. ერთ-ერთ მათგანს, სოფლის მკვიდრს სტანისლავ შამბას ხშირად ქართველები ენგურისა და ფსოუს საზღვრებიდან სამშვიდობოს გაჰყავდა. მათ შორის, სახელოვანი ფეხბურთელის გიორგი სიჭინავას ვაჟი მან საფრთხის ზონიდან ადლერში გაიყვანა და მამას უვნებლად ჩააბარა. მისი ბიძაშვილი არანაკლები სახელის მქონე ვაჟკაცი ბზიფსა და გაგრის ზონაში ცნობილი მუნა შამბა ბზიფის ხეობაში უსასოოდ დარჩენილ ქართველებს, შიმშილისგან რომ არ დახოცილიყვნენ, თავისი მანქანით, ზოგჯერ უფასოდაც პურის ფქვილს უზიდავდა. სამწუხაროდ, მისი უფროსი ვაჟი ანატოლი სწორედ მამის მიერ დაპურებულ და ნაპატიებ ქართველებს თავისი „სადამსჯელო რაზმით“ აწიოკებდა, მანქანებს ართმევდა და სასტიკად აწამებდა?! ეს მოძალადე „ეგზეკუციონერი“ სხვა ცოდვებთან ერთად სოფლის ქალიშვილებს ნამუსს ხდიდა, მათ მშობლებს კი ატერორებდა?! მამამ რომ შეიტყო ეს საშინელი ამბავი, შვილი შუაღამისას იარაღის ქვეშ სასაფლაოზე გაიყვანა, საფლავი თავისი ხელით გაათხრევინა და სიცოცხლეს გამოასალმა. გამწარებულმა და გულდამწვარმა მამამ ოჯახის და სოფლის შეურაცხმყოფი „უძღები შვილი“ საკუთარი ხელით დაასაფლავა!.. მსგავსი შემთხვევა მოხდა ტყვარჩელშიც, სადაც ქართველთა ოჯახების დამწიოკებელი, სასტიკი მწამებელი და მკვლელი ვინმე ნოდარ ახუბას მამამ საკუთარი ხელით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა?!

იმ დროს ბიჭვინთის კონცხსა და ბზიფის შემოგარენს ცნობილი ტერორისტი შამილ ბასაევი, როგორც კომენდანტი აკონტროლებდა. სწორედ მისმა დაგებულმა „მეძებრებმა“ და განდგომილმა „ვაიაფხაზებმა“ შეიტყვეს ასტამურის გლოვის და პაპა-შვილიშვილის დასაფლავების ამბავი, სახლში ეწვივნენ. ჩვენთან უნდა წამოხვიდეო, უთხრეს. იგი გუდაუთის შს განყოფილებაში წაიყვანეს. დაკითხვის შემდეგ იარაღი მისცეს და ერთ-ერთ სადამსჯელო რაზმში ჩარიცხეს. გუდაუთასთან ახლოს საკონცენტრაციო ბანაკში ტყვეებთან ერთად მშვიდობიანი ქართველებიც ჰყავდათ დაპატიმრებული. მათი მეთვალყურეობა დაავალეს ასტამურს, და ეს მოწამებრივი მისია უკიდურეს სულიერ ტანჯვას განაცდევინებდა.

ერთხელ ასტამურს რაზმთან ერთად ტყვეების დახვრეტა უბრძანეს. ტყვეების რიგს რომ გაუსწორდა რაზმი, უფროსმა სროლის ბრძანება გასცა, ასტამურმა კი ავტომატის ჯერი ჰაერში დაცალა. თუმცა სიკვდილმისჯილნი მაინც დახვრიტეს. მან იძულებით ერთხელ კიდევ იხილა უდანაშაულო ქართველთა მზაკვრული მკვლელობა. შემდეგ კი დილეგში ე.წ. „ადინოჩკაში“ ჩააგდეს. ერთი თვე ჰყავდათ გამოკეტილი ნახევრად მშიერ-მწყურვალი. ამ ხნის მანძილზე იგი სულ გაქცევაზე ფიქრობდა. ბოლოს სიგიჟის სიმულაციის მანერები დაისწავლა და თავისი შეურაცხადობა დაამტკიცა. მას უკვე შედარებით იოლ საქმეზე იყენებდნენ. სწორედ ამგვარმა სამსახურმა და მისმა „შეურაცხადობამ“ ასტამურს ხელ-ფეხი გაუხსნა. ერთ მშვენიერ დღეს მან მილიციის შენობა და საერთოდ გუდაუთა დატოვა... ორი კვირის შემდეგ იგი დიდი ტანჯვა-წამებით დედაქალაქში ჩამოვიდა და საქართველოს უშიშროების სამინისტროში გამოცხადდა. ეს იყო 1995 წლის გაზაფხულზე.

მაშინ თქვენს მონა-მორჩილს წილად მხვდა ბედნიერება, ასტამურს შეეხვედროდი და მისგან ექსკლუზიური ინტერვიუ ამეღო. მან ჩემთან საუბარში განაცხადა: „მე არ შემეძლო მეცხოვრა, იმ მიწაზე, სადაც უდანაშაულო ქართველთა ზღვა სისხლი დაიღვარაო...“ ასტამურმა თბილისის შსს-ს აკადემია დაამთავრა და სამინისტროს ერთ-ერთ ქვედანაყოფში ჩაირიცხა.

* * *

შოთა ნიშნიანიძის ლექსიდან წერილის თავში გამოტანილი ორსტრიქონიანი ეპიგრამა, ქართველ-აფხაზთა ძმურ ურთიერთობებს ლაკონიურად ასახავს და რა საამაყოა, ჩვენ წინაპრებს რომ ეს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ათასი ჯურის მომხდურთა გეენის ცეცხლში ნაწრთობი დღემდე უვნებლად მოუტანიათ. სწორედ ამ ჭეშმარიტების საპირწონე შემთხვევა გახლავთ მე-19 საუკუნის ამიერკავკასიის მთავარმართებლის, ქართველთა და სომეხთა დაუძინებელი მტრის და რუსეთის პოლიტიკის „უბადო“ შემსრულებლის, გენერალ ერმოლოვის მისაღებში აფხაზი თავადის კონსტანტინე შერვაშიძის მიმართ წარმოთქმული ხრიკის შემცველი ოდიოზური რევერანსი: – ოო, როგორი სიურპრიზია ჩვენთვის, რომ აფხაზი თავადი გვეწვია! – არა, თქვენო უდიდებულესობავ, მე აფხაზი კი არა ქართველი თავადი ვარ! – სიამაყით მიუგო მას თავადმა შერვაშიძემ. ამით მან ერთიანან საქართველოს ერთმნიშვნელოვნად გაუსვა ხაზი და არა ისე, როგორც რუს თავადს სურდა.

* * *

ზემოთ მოთხრობილი ნამდვილი ამბავი აფხაზეთში უცხოტომელთა „საეგზეკუციო ბრიგადების“ თარეშს რომ ეხება, დეგრადირებული „ჰომო საპიენსის“ ნაშიერმა ვანდალიზმის უსაშინლესი და ენით აუწერელი ტერორისტული აქტებით უდიდესი ბინძური წვლილი შეიტანეს 7000-ზე მეტი უდანაშაულო მშვიდობიანი ქართველის განადგურებაში. – ნუთუ ის ქართველები აფხაზთა უძველესი მოძმენი და მათი მინა-წყლისანი არ იყვნენ? – ან რატომ დაუშვეს „მორდუს საძიძაოში“ ეს ბარბაროსული ფაშიზმი?

იქნებ ამჯერად მაინც ვინმე გამოგვეხმაუროს, ან ამ კითხვებზე პასუხი გამოგვძახოს ენგურის გაღმიდან, როგორც ეს კვლავ დიდ ჰუმანისტ და განუმეორებელ შოთა ნიშნიანიძეს თავის ლექსში „აფხაზური კანტატა“ შთამბეჭდავად აქვს გამოხატული:

...„ქორი წიწილას აფხაზეთში თუ იტაცებდა,
ჰაუ, ჰაუო, გვიყვირია სამეგრელოში.
...და მორდუ აქეთ თუ ოდესმე დააცხიკებდა,
– ხვიჩას სიცოცხლე! – ეძახოდნენ აფხაზეთიდან.

დიმიტრი მუხაშვილი

◎ ცხენოსნობა

ლისიდან – მსოფლიოზე

„ლისი ივოდრომზე“ სამ დღეს გრძელდებოდა მსოფლიო თასის გათამაშების შესარჩევი ეტაპი, რომელშიც ევრაზიის ლიგაში გაერთიანებული 5 ქვეყნის მხედრები მონაწილეობდნენ.

აღსანიშნავია, რომ საკუთარი სარბიელის ფაქტორით შესანიშნავად ისარგებლა **შალვა გაჩეჩილაძემ,** რომელმაც ბედაურ „**მოდესტთან**“ ერთად გაიმარჯვა და პრესტიჟულ ფორუმზეც გამოვა.

დავძენთ, რომ ტურნირი საქართველოს ცხენოსნობის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა და მისი მიზანი საუკეთესო მხედართა გამოვლენასთან ერთად საცხენოსნო სპორტის ხელშეწყობა გახლდათ.

◎ მოვლენის შემდეგ

ოჯახური კოლექცია

არნახული ქართული სპორტული ზაფხულის მშვენებად პარიზის პარალიმპურ თამაშებზე 14 ჯვაროსნის მიერ მოხვეჭილი 9(!) მედალი იქცა, თუმცა, გიორგი და ინა ქალდანეზის ოჯახური წყვილის მიერ ძიუდოისტთა ტურნირზე ერთ დღეს მოპოვებული ვერცხლი და ბრინჯაო მაინც უნიკალური მოვლენაა და ასეთი რამ აღნიშნული ფორუმის ისტორიაში პირველად მოხდა. სხვათა შორის, ეტლით მოფარიკავე ნინა თიბილაშვილის მსგავსად, ინა მეორე პარასპორტსმენია, რომელმაც სამშობლო ზედიზედ მეორედ ასახელა, სულ კი ცოლ-ქმარ ქალდანების კოლექცია უკვე 3 ჯილდოს ითვლის.

5 წლის დამიანეს მშობლების სიყვარულის ისტორია ბავშვობიდან დაიწყო, როცა ერთ დარბაზში ვარჯიშობდნენ და იზრდებოდნენ. მაშინ მოეწონათ კიდეც ერთმანეთი, მაგრამ შემდეგ დაიშალნენ რამდენიმე წლით და მოგვიანებით ტრანსპორტში შემთხვევით შეხვედრა „დიპლომატიური ურთიერთობების“ აღდგენითა და ქორწინებით დაგვირგვინდა.

რაც შეეხება მხედველობის პრობლემას, ძიუდოში კრიტერიუმები ხშირად იცვლება და 3-4 თვეში ერთხელ ამოწმებენ ორივეს, რამდენად აკმაყოფილებენ დასახელებულ ნორმატივებს და ეკუთვნით თუ არა პარალიმპიადაზე დაშვება.

საერთოდ, არსებობს ორი კატეგორია – ვინც საერთოდ ვერ ხედავენ ან მცირედმხედველები არიან და ჩვენებურები მცირედმხედველები გახლავან.

როცა ფრანგულ ტრიუმფზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა მივაგოთ სათანადო პატივი ინას მიერ ჩადენილ სპორტულ გმირობას, რადგან ჯერ მუხლის წინა ჯვარედინი იოგი გაუწყდა, ხოლო შემდეგ, როცა ექიმებმა თითქოს მოუშუშეს ტრავმა, უკვე უშუალოდ პარიზში გამგზავრების წინ, ისევ ამოუვარდა მუხლი, მაგრამ მაინც, განსაკუთრებული პროცედურებითა და მტკივანი ფეხით, ტურნირის პრიზიორი გახდა!

ბუნებრივია, ასეთი იმტორიული წარმატების შემდეგ პარალიმპურ ოქროზე რომ ოცნებობენ და... დამიანეს, რომელსაც უკვე ეტყობა სპორტით დაინტერესება, აუცილებლად ეყოლება დედმამიშვილებიო.

და კიდევ: ძალიან დიდ მოტივაციად მიაჩნიათ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გრანდიოზული დახვედრა და პრემიერის მიერ პარასპორტსმენთა და ჩვეულებრივ ოლიმპიელთა მატერიალური წახალისების მხრივ თანაბრად დაფასება.

◎ ნახევარი საუკუნე

ტალანტია საბადო

რამდენიმე დღის წინათ ყოფილ 128-ე რუსულ სკოლასთან მომიწია გავლა და დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინანდელ მოგონებებში გადავეშვი.

დიახ, სწორედ აღნიშნული განათლების კერის სასპორტო ეზოს ასფალტიან სარბიელზე ჩაიარა ვაჟა ფშაველას გამზირის მე-3 კვარტლის ახალგაზრდობის საფეხბურთო ბატალიონმა, ამიტომ ვფიქრობ დროა მაშინდელი შთაბეჭდილებები ნოსტალგიის სახით თქვენც გაგიზიაროთ და ერთგვარი პატივი ამით მივაგოთ უკვე თითქმის გამქრალი ქუჩის ფეხბურთის ფენომენს, ტალანტთა საბადოს რომ წარმოადგენდა.

უპირველესად, იმ ფაქტს გავიხსენებ, უშუალოდ ჩემთვის რომ იქცა ძველი შეგონების: ზოგი ჭირი მარგებელია – უტყუარ მტკიცებულებად: ზუსტად 50 წლის წინათ, გერმანიაში გამართული და მასპინძელთა ტრიუმფით დასრულებული მუნდიალის დღეებში, უფრო მფრინავ ჰოლანდიელთა მიერ დამკვიდრებული ტოტალური ფეხბურთის მწვერვალად რომ მიაჩნია ბევრს, დასახელებული მოედნის ერთ-ერთ ორმოში ფეხი ვიღრძე და კომპრესის 10-დღიანი პროცედურები დამჭირდა ბრძოლის ველზე დასაბრუნებლად. ვინაიდან მანამდე მხოლოდ მარჯვენა ფეხით ვთამაშობდი და ბოლომდე გაუნელებელი ტკივილების გამო „დავმანდრაშდი“ კიდეც, მეზობლის რჩევით კორპუსის კედელზე ბურთის „ცაციათი“ მოთვინიერების ხელოვნებას დავეუფლე და თანდათან „ორფეხაც“ გავხდი, ამიტომ დღემდე ვემადლიერები იმ რჩევის ავტორს, თუმცა ჩემი ტრავმა რა მოსატანია იმ სპექტაკლებთან შედარებით, უბნის ვირტუოზები რომ დგამდნენ ყოველ შაბათ-კვირას.

სხვათა შორის, გადაჭარბებული წარმოდგენა რომ არ შეგიქმნათ საკუთარი პერსონის ოსტატობაზე, ამთავითვე მოვჭრი, რომ როგორც თითქმის ყველაზე უმცროსის, თანაც ბავშვის ფუნქცია უმეტესწილად მაყურებლის როლით შემოიფარგლებოდა და უბედნიერესი მაშინ ვიყავი, როცა უფროს ბიჭებს რომელიმე პარტნიორი დააკლდებოდათ და მის ნაცვლად მე მათამაშებდნენ, უმთავრესად – მეკარედ.

კრუიფის ზეობის ეპოქაში, ბუნებრივია, გამორჩეულად შემოქმედებითი ფეხბურთის ნიჭით დაჯილდოებულ თვითნაბად ტალანტებს ვცემდი პატივს. სწორედ ასეთი გახლდათ ჩვენი გუნდის ლიდერი, თბილისის დინამოს დუბლშემადგენლობის ყოფილი წევრი, პოლონეთიდან ჭაბუკთა ტურნირის საუკეთესო მოთამაშისა და ბომბარდირის პრიზებით დაბრუნებული ნაადრევად ჩამქრალი ვარსკვლავი სოსო გილაური, რომლის ტექნიკა და „პოდსებიები“ მართლაც დაუვიწყარია.

განუმეორებელი ინდივიდუალიზმი ამკობდათ ძმებს – გურამ და ანზორ (კუჭკუჭა) ინასარიძეებს, ჩაკოტიტებული ზურა (მასიკა) კი ჩამოთვლილი ტრიოს შეტევების დამაგვირგვინებელ უბადლო ბომბარდირად ითვლებოდა.

არანაკლებ ბრწყინავდნენ დაცვის ბურჯები: გია მანწკავა, იურა, რამაზ გრძელიშვილი და უშანგი, მეკარე ძმები – სოსო და ემზარ მოსულიშვილები (ჭუტალები) კი საიმედოობის განსახიერება იყვნენ.

ეს, ასე ვთქვათ, ძირითადი ბირთვი, მათ ჩრდილში კი საკუთარ ჭიას ახარებდნენ ძმები ნიქაბაძეები (სპილოები), მეგრელები, თამაზაშვილები, აგრეთვე გია ჯავახიშვილი, ფეთულა, ფუშფუშა, ჩემი ნათლია მამუკა გურიელი...

ზემოთ უბანი ვახსენეთ და ობიექტურობის დასაცავად ნურც ახლომდებარე სტადიონებზე განვითარებულ მოვლენებსა და მათ პერსონაჟებს დავივიწყებთ: ასევე მე-3 კვარტალში თონის გვერდზე განთავსებული სარბიელის სოლისტები იყვნენ ძმები სტურუები, გოგა რეხვიაშვილი (რეხვა), თემურ გეგია, დათო ხელისუფალი (ბახჩო) და გია კეკელია, მე-4 კვარტალში პოპულარული გახლდათ ის არენა, სადაც დაბანაკებული იყო ჩვენი ყველაზე პრინციპული მეტოქის – პეტოსა და ლაშა დადიანის გუნდი, მე-6 კვარტლის „მარაკანაზე“კი ელავდნენ ბოკვერა, ირაკლი გორგოშიძე და მათი რაზმი.

ვიდრე წერტილს დავსვამ, აუცილებლად დავძენ, რომ ჩამოთვლილთაგან ნაწილი უკვე უკვდავების ბინადარი გახდა, ზოგი კი, უბრალოდ, არ გამახსენდა, რის გამოც ბოდიშს ვუხდი მათ.

რას ვიზამთ, ასეთია ცხოვრება.

გია პლატონიშვილი

◎ ლეგიონერი

ყაზახეთის მიწაზე

ქართულ და უცხოურ კლუბებში გატარებული სეზონების შემდეგ გიორგი ზარიამ ღუზა ალმაათის ერთ დროს პოპულარულ კაირატში ჩაუშვა და ყაზახეთის თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა, სადაც ორრაუნდიანი ბრძოლა უენისთან გადაიტანა.

სტუმრად დამარცხების – 0:2 შემდეგ ქართველმა ნახევარმცველმა საპასუხო შეხვედრაში შორიდან გატანილი ულამაზესი ბურთებით დუბლი შეასრულა და მატჩის ბედი პენალტების სერიაში გადაწყდა, რომელიც უკეთესად მეტოქემ დაარტყა და ტიტულისთვის სწორედ ის ითამაშებს.

აღსანიშნავია, რომ ძირითად დროში ერთი გოლი **ფანცულაიამ** გაქვითა, მაგრამ ოფსაიდის გამო იგი არ ჩაითვალა. დავძენთ, რომ მას პარტნიორობას **თევზაძე** უწევდა.

ამასობაში **ლაშა დვალი** კვიპროსის სუპერთასს დაეუფლა. მისმა აპოელმა სატიტულო ბრძოლაში პაფოსი დაამარცხა – 1:0. ქართველი მცველი თამაშში 68-ე წუთიდან ჩაერთო, მეტოქემ კი ტაიმნახევარი რიცხვნაკლულმა ჩაატარა, რადგან კაცი გაუძევეს.

ტურიზმი და მშვიდობა

გაეროს მსოფლიო ტურიზმის დღის ღონისძიების ფარგლებში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია გავლენიანი უცხოური მედიასაშუალებების ჯგუფებს მასპინძლობს. ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

„მსოფლიო ტურიზმის დღის აღსანიშნავად, რომელიც 27 სექტემბერს საქართველოში გაიმართება, დედაქალაქს უკვე ეწვივნენ საერთაშორისო მედიის წარმომადგენლები ისეთები, როგორებიც არიან: „**Forbes**“, „**Bloomberg**“, “რურონეწს“, „**Conde nast traveler**“. ისინი გააშუქებენ როგორც 27 სექტემბრის ღონისძიებას, ასევე ეწვევიან საქართველოს ტურისტულად მნიშვნელოვან ადგილებს და მთელ მსოფლიოს მოუყვებიან საქართველოს ტურიზმის პოტენციალის, დაგეგმილი ღონისძიების და, რა თქმა უნდა, მშვიდობის როლის შესახებ ტურიზმის სექტორში“, – განაცხადა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **მაია ომიაძემ.**

საერთაშორისო მედიის წარმომადგენლები დედაქალაქის დათვალიერების შემდეგ ეწვევიან წინანდალს, თელავს, მუხრანს, დაათვალიერებენ ღვინის მარნებს, მოინახულებენ ღვინის მუზეუმს, უცხოელი ჟურნალისტებისთვის გაიმართება ქართული ღვინისა და კერძების დეგუსტაცია.

საქართველო გაეროს ტურიზმის ორგანიზაციის ეგიდით, პირველად მასპინძლობს მსოფლიო ტურიზმის დღის აღსანიშნავ ღონისძიებას. წლევანდელი თემატიკაა „ტურიზმი და მშვიდობა“.

მასშტაბური ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან მაღალი რანგის სტუმრები, ტურიზმის მინისტრები, დეპარტამენტების ხელმძღვანელები და ტურიზმის სფეროს პროფესიონალები ეწვევიან.

სანთელი

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, ზურაბ ფოჩხუა, მერაბ გურული, ზურაბ ხონელიძე, თემურ მურღულია სამძიმარს უცხადებენ ნოდარ ბოლოთაშვილს ძმისწულის მეუღლის

ზურაბ ანდროს ძე ბუხნიკაშვილის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ტრაგედია ბათუმში

ბათუმში ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, დაშავებულია ერთი პირი.

არსებული ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და რკინის კონსტრუქციას შეეჯახა.

როგორც „კვირას“ შს სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის ან უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

პროკურატურამ „ქურდული სამყაროს“ წევრობის ფაქტებზე ხუთ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ „ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისა და უშუალოდ „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის ფაქტებზე 5 პირს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ვ.გ.-ს და მ.გ.-ს შორის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ფინანსური დავა წარმოიშვა. ბრალდებულებმა დავის გადაწყვეტის მიზნით „ქურდული სამყაროს“ წევრებს კ.ვ.-ს და გ.კ.-ს მიმართეს. ფინანსური დავის „ქურდული გარჩევის“ გზით გადაწყვეტაში ასევე, ჩართული იყო „ქურდული სამყაროს“ მხარდამჭერი ტ.ფ. 2024 წლის 22 ივნისს, ოზურგეთში, „ქურდული სამყაროს“ წევრებმა მოდავე მხარეების და „ქურდული სამყაროს“ მხარდამჭერის მონაწილეობით „ქურდული გარჩევა“ მოაწყვეს, რის შედეგადაც მ.გ.-ს მოდავე მხარის სასარგებლოდ 15 000 ლარის გადახდა დააკისრეს, რომელიც მან დათქმულ ვადაში გადაიხადა. თანხის ნაწილი დავის გადაწყვეტაში მონაწილე „ქურდული სამყაროს“ წევრებს შორის გადანაწილდა.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები 24 სექტემბერს დააკავეს. 2 პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (,,ქურდული სამყაროს“ წევრობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, 1 პირს – სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის მე-2 ნაწილით („ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერა), რაც 3-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს, ხოლო 2 პირს – სისხლის სამართლის კოდექსის 223^4-ე მუხლის პირველი ნაწილით („ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვა), რაც სასჯელის სახედ 3-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

პროკურატურა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას ატარებს, რასაც მომავალშიც გააგრძელებს.

,,ოლე“ – ჟურნალი, რომელსაც მთელი საქართველო კითხულობს

გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ IV ნომერი.

ჟურნალი იხსნება **ავთანდილ არაბულის** წერილით „ბედი და ბედისწერა“, რომელშიც მიმოხილულია **რეზო ადამიას** ახლახან შექმნილი შოთა რუსთაველის პორტრეტები. დიდი პოეტის პორტრეტი ამშვენებს ჟურნალის პირველ გვერდსაც.

გურამ რჩეულიშვილის 90 წლის იუბილეს ეხმაურება **რონინ ჭიკაძის** წერილი „ბედისწერა გურამ რჩეულიშვილის ბობოქარი ცხოვრებისა“.

რუბრიკაში „მხატვრული ლიტერატურა“ იბეჭდება **ელგუჯა ციგროშვილის, ვაკო ორმოცაძის, თეა ყავრელიშვილის და კარლო ქართველიშვილის** ლექსები; **ზაირა მინდელისა** და **მარიამ ძამუკაშვილის** მოთხრობები.

რუბრიკით „სახალხო მთქმელი“ ქვეყნდება **ფირუზ კოჭლამაზაშვილის** ლექსები

„ბავშვებისთვის საკითხავის“ რუბრიკით წაიკითხავთ **მარიამ კოზმანიშვილის** საბავშვო ლექსებს.

„თარგმანის“ რუბრიკაში გაეცნობით **გალინა გრანოვსკაიას** მოთხრობას.

რუბრიკით „კვალი კეთილი“ იბეჭდება **მარინე გოგბაიძის** „ერთი მნიშვნელოვანი ეპოქა“.

ზაალ ბოტკოველი წარმოგიდგენთ **როლანდ გიორგაძის** ახალ წიგნს „ტილოზე ამოქარგული მზე“.

რუბრიკაში „საქართველოს სიწმინდეები“ წაიკითხავთ **გივი ჩიღვინაძის** „ჯრუჭის მონასტერი და მრავალძლის ეკლესია“.

„კრიტიკა-პუბლიცისტიკის“ რუბრიკაში ქვეყნდება **ლია ნადირაშვილის, ნანა რჩეულიშვილის** და **ნუნუ ძამუკაშვილის** წერილები.

ჟურნალი გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **ლევან ანდრიაშვილი**), თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი **თენგიზ მთვარელიშვილი**) მხარდაჭერით.



მსოფლიოში სამიდან ერთ ბავშვს ახლომხედველობა აქვს!

მსოფლიოს მასშტაბით ბავშვების მხედველობა სტაბილურად უარესდება და ყოველი სამი ბავშვიდან ერთს ახლომხედველობა აქვს – ინფორმაციას BBC ჩინელი მეცნიერების კვლევაზე დაყრდნობით ავრცელებს, რომელიც ჟურნალში British Journal of Ophthalmology გამოქვეყნდა.

კვლევის ავტორებმა 6 კონტინენტზე, 50 ქვეყანაში 5 მილიონზე მეტი ბავშვის მონაცემები შეისწავლეს და დაადგინეს, რომ 2050 წლისთვის ახლომხედველობა, იგივე მიოპია მოზარდების ნახევარზე მეტს შეეხება.

დღეს ახლომხედველობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აზიაში დასტურდება. იაპონიაში შორს მდებარე ობიექტების დანახვა ბავშვების 85%-ს უჭირს, სამხრეთ კორეაში 73%-ს, ჩინეთსა და რუსეთში კი 40%-ს. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი პარაგვაისა და უგანდაში ფიქსირდება – მხოლოდ 1%.

მეცნიერების დაკვირვებით, ვითარება კორონავირუსის გამო დაწესებული ლოკდაუნების დროს გაუარესდა, როდესაც მილიონობით ბავშვს დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სახლში მოუწია დარჩენა.

სპეციალისტები დაავადების გამომწვევ მიზეზებსაც განმარტავენ. დიდ წილად ის გენეტიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული, თუმცა არანაკლებ როლს ის გარემოც თამაშობს, რომელშიც ბავშვი იზრდება. მაგალითად, აზიაში ბავშვები სწავლას ადრეული ასაკიდან იწყებენ. შესაბამისად, ისინი მეტ დროს ატარებენ წიგნებზე და ეკრანებზე ფოკუსირებაში, რაც თვალის კუნთის დაძაბულობას იწვევს. აფრიკაში კი ბავშვები სწავლას 7-8 წლის ასაკში იწყებენ და იქ, აზიასთან შედარებით, მიოპიის შემთხვევები შვიდჯერ ნაკლებია.

ბრიტანელი ექიმები ამბობენ, რომ ახლომხედველობის განვითარების შანსების შესამცირებლად ბავშვებმა 7-9 წლის ასაკში დღეში სულ მცირე 2 საათი უნდა გაატარონ გარეთ, მშობლებმა კი ამ პერიოდში მათი მხედველობა წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეამოწმონ.

,,ბუნებრივ სარეკლამო ბანერით

55 წლის ქართველმა ვარშავის სავაჭრო ცენტრში მომხმარებელი სარეკლამო ბანერით სცემა.

უცხოური მედიის ცნობით, მამაკაცი მომხმარებელს მოკვლითაც დაემუქრა.

ინციდენტი სავაჭრო ცენტრში მყოფმა ერთ-ერთმა მოქალაქემ გადაიღო და ინტერნეტსივრცეში გაავრცელა.

ნიუ-იორკის მერს ბრალი წაუყენეს

ნიუ-იორკის მერს ერიკ ადამსს ფედერალური კორუფციული გამოძიების ფარგლებში, ბრალი წაუყენეს, – ამის შესახებ ინფორმაციას New York Times-ი ავრცელებს.

როგორც გამოცემა წერს, გამოძიება ნაწილობრივ იმას ეხებოდა, მიიღო თუ არა 2021 წელს ერიკ ადამსმა და მისმა მერის საარჩევნო კამპანიამ თურქეთის მთავრობისგან არალეგალური შემოწირულობა.

საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ, ერიკ ადამსი ნიუ-იორკის ისტორიაში პირველი მერი გახდება, რომელსაც თანამდებობაზე ყოფნისას ბრალს წაუყენებენ.

ნიუ-იორკის მერმა ერიკ ადამსმა ვიდეომიმართვა გაავრცელა, რომელშიც განაცხადა, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია.

თბილისობა 5-6 ოქტომბერს გაიმართება

როგორც დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის 25 სექტემბრის სხდომაზე განაცხადა, ღონისძიებები ორბელიანების მოედანსა და მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე რიყის პარკში მოეწყობა.

„ჩვენ ყოველ წელს აღვნიშნავთ ჩვენი ულამაზესი დედაქალაქის დღეებს. წელსაც, 5-6 ოქტომბერს გაიმართება „თბილისობა“. ძალიან საინტერესო ღონისძიებებია დაგეგმილი, რის შესახებაც დეტალურ ინფორმაციას სულ მალე მივაწვდით საზოგადოებას. იქამდე კი მოინიშნეთ 5 და 6 ოქტომბერი და ერთად აღვნიშნოთ თბილისობა“...

* * *

აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ 28 და 29 სექტემბერს ბოტანიკური ბაღი „პურის ფესტივალს“ უმასპინძლებს.

რეჟისორ გიზო ჟორდანიას დაუვიწყარი პატივგება

კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრის სცენაზე გაიმართა გიზო ჟორდანიას 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. ღონისძიებას დაესწრო საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი.

„იუბილეზე წარმოადგინეს რეჟისორის შემოქმედების ამსახველი ვიდეომასალა. კადრებად ნაჩვენები იყო ეპიზოდები გიზო ჟორდანიას სპექტაკლებიდან, დოკუმენტური კადრები მისი შემოქმედებითი ცხოვრებიდან და ნაწყვეტი მისი კინოროლიდან.

გამოჩენილი რეჟისორი და პედაგოგი გაიხსენეს ხელოვანებმა, თეატრმცოდნეებმა, მუსიკათმცოდნეებმა, ყოფილმა სტუდენტებმა, კოლეგებმა და ოჯახის წევრებმა. ამასთან, იუბილესთან დაკავშირებით საღამოს ძირითადი ნაწილის დასრულების შემდგომ მის ყოფილ აუდიტორიას, რომელშიც მოღვაწეობდა და საქმიანობდა, მიენიჭა გიზო ჟორდანიას სახელი.

ღონისძიების რეჟისორი ანდრო ენუქიძე იყო. საღამოს უძღვებოდა თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე, ხოლო მუსიკალურად გააფორმეს დათო ევგენიძემ და ნანა ავალიშვილმა.

გიზო ჟორდანია მახვილგონივრული უანრული კოლორიტისა და ტიპაჟის გამორჩეული ოსტატი იყო. მძაფრი სატირული ქვეტექსტები და მუსიკალური პაროდიები მის ნამუშევრებს საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის.

რეჟისორის ღვაწლის პატივსაცემად გამართული საღამოს ორგანიზატორია საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო ფინანსური მხარდამჭერი – საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

„მეორე მთვარე“ – დროებით!

29 სექტემბრიდან სამყარო უნიკალური ციური მოვლენის მომსწრე გახდება - დედამიწას, ასტეროიდ 2024 PT5-ის სახით, დროებით „მეორე მთვარე“ ეყოლება. ინფორმაციას Space-ი ავრცელებს.

განსხვავებით ჩვენი პლანეტის მთავარი თანამგზავრისგან, რომელიც დედამიწას დაახლოებით 4 მილიარდი წელია, თან ახლავს, ეს „ახალი მინი მთვარე“ მხოლოდ ორი თვის განმავლობაში დარჩება დედამიწის მახლობლად, რის შემდეგაც ის ასტეროიდულ სარტყელში დაბრუნდება, რომელიც დედამიწას მიჰყვება და მზის გარშემო ბრუნავს. შესაბამისად, უნიკალური მოვლენის ხილვა 29 სექტემბრიდან 5 ნოემბრამდე იქნება შესაძლებელი.

ცნობისთვის, ობიექტი, რომელიც უნდა გვესტუმროს, „არჯუნას“ ასტეროიდთა სარტყელს ეკუთვნის. ეს არის მეორადი ასტეროიდული სარტყელი, რომელიც კოსმოსური ქანებისგან შედგება და დედამიწის ორბიტას მზიდან საშუალოდ 150 მილიონი კილომეტრის მანძილზე მიჰყვება.

მსოფლიო ამაღლება ჯვარისა

ჯვართამაღლება

27 სექტემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია თაყვანს სცემს და დღესასწაულობს მსოფლიო ამაღლებას პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა.

...კონსტანტინე დიდის დედამ კეთილმსახურმა დედოფალმა ელენემ გადაწყვიტა იმ ჯვრის მოძებნა, რომელზეც იესო ქრისტე გააკრეს და საგანგებოდ გაემგზავრა იერუსალიმს. მას უთხრეს, რომ ეს ჯვარი ჩაფლულია მიწაში და ზედ წარმართთა ტაძარი არის აშენებული.

დედოფლის ბრძანებით ტაძარი დაშალეს, გათხარეს და ნახეს 3 ჯვარი და პატარა ფიცარი, რომელზეც ეწერა: „იესო ნაზარეველი, მეუფე ურიათა“.



იმის გასაგებად, თუ რომელი მათგანი იყო ცხოველმყოფელი ჯვარი, სამივე მათგანი რიგრიგობით შეახეს მიცვალებულს; ორი ჯვრით სასწაული არ მოხდა, მესამე ჯვრის შეხებით კი მიცვალებული აღსდგა. აი, ასე მოიტანეს უფლის ჯვარი, რათა ხალხს დაენახა იგი მაღალ ადგილზე აამაღლესო. ჯვართამაღლებისას უამრავი ხალხი თაყვანს სცემდა ჯვარს შემდეგი სიტყვებით: „უფალო შეგვიწყალენ“.

P. S. ჯვართამაღლების დღესასწაული მარხვით აღინიშნება.

გიული ლიპარტია

„ერთი დიდი ტყის მახლობლად“

ქართული წარმოშობის ინგლისურენოვანი ავტორი ლეო ვარდიაშვილი საქართველოშია

25 სექტემბერს ქართული წარმოშობის ინგლისურენოვანი ავტორი ლეო ვარდიაშვილი ქართველ მკითხველს შეხვდა.

„ერთი დიდი ტყის მახლობლად“ – მისი სადებიუტო რომანი 2024 წლის იანვარში გამოიცა და უკვე დაიპყრო მკითველის გული.

წიგნი თავდაპირველად ბრიტანეთის ერთ-ერთმა უდიდესმა გამომცემლობამ „**Bloomsbury Books**“-მა დასტამბა, შემდეგ კი ნაწარმოების პოპულარობამ იმ ნიშნულსაც მიაღწია, რომ წიგნის გამოცემა 19 ქვეყანაში, 17 ენაზე გადაწყდა. ბესტსელერი რომანი კი ჩვენი დროის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ავტორმა ხალიდ ჰოსეინმა ასე შეაფასა – „სუნთქვა შემეკრა, გამეცინა



და გოლოს ავტირდი. ამ რომანმა გამანადგურა, გული ჩამწყვიტა, გამიგლიჯა და სამუდამო კვალი დამამჩნია“.

ნაწარმოების მთავარი გმირი საბა სულიძე-დონაურია, რომელიც 1992 წელს, სამოქალაქო ომის ფონზე, საქართველოს მამასთან და ძმასთან ერთად ტოვებს და თავშესაფრის საძიებლად ინგლისში ჩადის. ორი ათწლეულის შემდეგ, ბიჭების მამა, ირაკლი, რომელსაც დაღუპულ ცოლზე მოგონებები არ ასვენებს, სამშობლოში ბრუნდება, ცოტა ხანში კი შვილებს სწერს, რომ მთებში მიდის და არ მოძებნონ. საბას ძმა, სანდრო, მაინც ჩამოდის საქართველოში, თუმცა, მასთანაც მალე წყდება კონტაქტი. ამის მერე საბა თავად უბრუნდება სამშობლოს ოჯახის წევრების მოსაძებნად, ეს ამბავი კი, მისივე ხედვით, ჰენზელისა და გრეტელის ისტორიას ემსგავსება.

როგორც გამომცემლის ანოტაციიდან ვიგებთ, „ერთი დიდი ტყის მახლობლად“ არის „ძლიერი, იმედისმომცემი რომანი ომისგან დატოვებულ ინდივიდუალურ და კოლექტიურ ტრავმაზე. ასევე იმ ადამიანების დაუმორჩილებელ სულისკვეთებაზე, რომელთაც მხოლოდ გადარჩენა კი არა, დაკარგულების ხსოვნაც სურთ“.

ახალგაზრდა მწერალი თბილისში 1983 წ. დაიბადა და ამჟამად ლონდონში ცხოვრობს. იქვე სწავლობდა ინგლისურ ენასა და ლიტერატურას დედოფალ მერის უნივერსიტეტში.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი **სპარტაკ ქობულია** (599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე **მამუკა ვაშაკიძე** (597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი: **ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი **რუსუდან ქობულია** (577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები: **ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი **შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი **გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი **გიორგი ნადარეიშვილი**

მისამართი: თბილისი. აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედიასაშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა **„კოლორი“** ე. ბაღდავაძის №3

კოლორი ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 30 სექტემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.7269; ევრო - 3.0498;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6461;
100 რუბლი - 2.9510; თურქული ლირა - 0.0799;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6037;
1000 სომხური დრამი - 7.0372.